



ყოველკვირეული საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 3

8 ივნისი 1908 წ.

ფასი 10 კ.

შიზარისი: რედაქციისგან.—რა არის ნაიცა? **ონ—ისა.**—სამეცნიერო საუბარი, **ივ. გომართილისა.**—სხვა-და-სხვა ამბები.—რუსეთში.—უცხოეთში.—მოვარე წამიყვა (ლექსი), **ნარ-კანისა.**—პატარა ტალღები დიდ ზვირთებში, **ჩახახისა.**—სახელმწიფო დუმა.—ეურნალობა-გაზეთებიდან.—სომეხთა კათოლიკისი არჩევის შესახებ, **ერთი სომეხის.**—მასწავლებელი (მოთხრობა), **პარტენაშვილისა.**—წერილი რედაქციისადმი.—განცხადებანი.

რედაქციისგან.

ამ ნომერში უაღვილობის გამო ვერ მოთავსდა წერილი გაზ. „ნაბერწყალი“-ს (იხ. № 6) სარედქციო დეკლარაციის საპასუხოთ. დაბეჭდვა „ჩვენი კვლის“ შემდეგ ნომერში.

II. რა არის ნაიცა?

I. სხვა-და-სხვა თეორიები და შეხედულებანი.

ერთ გერმანელ მწერალის (ზაგოტის) აზრით ნაიცა ანუ ერთი ეკუთვნის იმ გვარ მოვლენათ, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით რაც არის, მაგრამ ვიცით მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეგვეკითხებიან მის ახსნა-განმარტებას. მეორე რომელღაც მწერალი ამბობს, რომ ნაიცის განმარტებაზე თავს ისე გრძობს თითქოს გინდოდეს ჰაერი მოხვეტა და ხელით დაიკრიოვო. თვითონ კაუტკი ერთ თავის უქანასქელ ნაწარმოებში—ამ საკითხის შესახებ—შენიშნავს, „ეროვნება არის ისეთი რამ, რომელიც მუდამ ხელიდან გისლტება, რამდენიც კი მოიწადინებ მის დაჭერას (განმარტებას)“. ამიტომ საკვირველი არ არის რომ სწავლულთათვის ჯერ კიდევ საკამათია ის, თუ რა არის ნაიცა, რა შედგენს მის არსებას. მაგრამ თუ ჩვენ ჯეროვნათ არ გვეცოდინება აღბრუნებული საგანი, ისე შეუძლებელი იქნება გზა გავიკვლიოთ თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეუძლებ-

ბელი იქნება ჯეროვნათ ანგარიში გაუწიოთ ყველა იმ მოთხოვნებს, რასაც წინ გვიყენებს ღღეს აგრე წოდებული ნაციონალური პრობლემა.

ზოგიერთ წრეებში სკამათ გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ნაიცის შეადგენდეს ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მცხოვრები ხალხი. ამ აზრს ბევრითა ავრცელებენ განსაკუთრებით გაბატონებულ ერთა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რათა „მეცნიერების“ დახმარებით თავიანთ მომავლინებელთა კუქს გაუადვილონ დაჩაგრულ ერთა მონღლება. ამ შეხედულებას ადგია უფრო ასე წოდებული „ოფიციალური მეცნიერება“ ევროპის ბევრ სახელმწიფოში ოფიციალური ქალაქდებისთვის ტერმინები „ეროვნება“ (ნაციონალიტეტი) იხმარება ნაცვლათ ტერმინისა „სუეტერდომი“ (Stuet) ე. ი. ამა თუ იმ სახელმწიფოს კუთვნილების აღსანიშნავათ.)* ამ შეხედუ-

* ტერმინების ასე ხმარების გამო, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთ ქართველ პატრიოტს ბან-ს-ს (თუ არ ცვლები ენევაში) ასეთი კურობი დავმართა. რადგან პოლიცია აღგნს ზოლმე მცხოვრებთა „ეინაობის ბართს“, ერთ მშენიერ დილას სხენებულ ქართველ პატრიოტსაც სახლში ფოსტით მიერთვა ასეთი ბარათი და იქ რუბრიკაში „რა ეროვნებისა?“ ჩაწერილი იყო „რუსი“ (პოლიცია ამ უკვე იცოდა, რომ ბანი-ს-ს რუსეთის სახელმწიფოდან იყო). „რუსის“ დაწახვება ჩვენს ქართველს ელდა ეკავ; იგი უმაღლე გაქანდა პოლიციის ნაწილში და „ეინაობის ქალაქი“

ლებას ლიტერატურაში ძალიან ნაკლებათა ჰყავს დამცველნი. ამათ ამ ბოლო დროს სხვათაშორის მივამატა ერთი ახალგაზრდა ბელგიელი მწერალი ლეონ ჰენენბიკი, რომელიც თავის თავს სოციალისტად აღიარებს, თუმცა მის სოციალისტობას ბელგიის მუშათა პარტია არა სცნობს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ბურჟუაზიულ შეხედულების მსხვერპლნი ხდებიან აგრეთვე ზოგიერთი ჩვენებური სოციალდემოკრატები.*) ამით ასე ემართებათ, რასაკვირველია, მუწუნებლათ და უნდევლიათ. ამ შეხედულების გამოშავებულთა და დამცველთა ჩვენ პრესაში ამ ბოლო დროს გამოვიდა ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე.

„უსახელმწიფოთ—აბაზოს იგი—ერი არ არის... ერი, ან სამშობლო—ეგ უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მისსა, რომელიც სცხოვრობს ერთ კანონს ქვეშ“ (იხ. „ამირანი“, № 41. „სამშობლო და მამულიშვილობა“). ასეთი განმარტება რომ მივიღოთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ყოველთვის ერთ ნაკიათ გამოვაცხადოთ ერთ სახელმწიფოში, ერთი კანონის ქვეშ მცხოვრებნი, მაგ. შვეიცარიაში მცხოვრები ფრანგები, გერმანელები და იტალიელები. ასეც იქცევა ბ-ნი ჯორჯაძე. იგი აცხადებს, რომ „არსებობს ერთი შვეიცარიული“ (იხ. იქვე); მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საქირა ამის დასახებით, რომ აქ ერთმანეთში არეულია ორი სრულიად სხვა და სხვა ცნება, სახელდობრ ხალხი, როგორც სახელმწიფოს მცხოვრებნი და ხალხი, როგორც ერის შემადგენელი კომპონენტი.

ეს შეცდომა უფრო იქიდან მომდინარეობს, რომ სახელმწიფოს, საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონია

თავში მიხალა „კომისარს“ (ბოქაულს), თანაც თვალზე დაჭყეტულ პოლიციელს მგვახუთ განუხება: „მუხით, ვარგათ იცადეთ, რომ მე მაგ ქალაქს არც ჯდებში ჩაივლებ და არც სახლში დევაყუნებ, რადგან შიგ ჩემი პირადი, სასტიკი შურაძაცოყადა მითაიფესულოა. მეორე სახელმწიფოში, რადგან ამავე ნიადაგზე რუსეთსა სტუდენტობას ხშირათ ლაპარაკი მოხდილდა ერთ ოფიციალურ დაწესებულებასთან, ანაზ გონივრულათ ახალი ზღანკები დააბეჭდნა და „ეროვნების“ ნაცელათ შეიტანა „ქვეშევრდომი.“ მართალია აქაც მოხდა ერთი კურონიზი, ერთ ქართველ სტუდენტს დოკუმენტში ჩაუწერეთ: „ქვეშევრდომია საქართველოსი.“

*) ლიტონ სიტყვათა რომ ჩამოვარგავთაგან, გავასწენებთ თუნდ იმას, რომ განგლოდ მოძრაობის დროს, როცა დამარცხდა რევოლუციონერ ფრაზულოგიისა და პროლეტარიატის ბანშარტობების ტაქტიკა, და ცხოვრებამ იმპერატოლათ, მარადუვალ ბრძანებთ მოპარნახათ ის ტაქტიკა, რასაც ამ სტრეიკონების დამწერი გეჩინებოდათ ბევრით ადრე, ვინმე პროლეტარიატი განიცლდა სასტიკ დამარცხებას, ან მაშინ ზოგიერთ აზნანგებამ, პირზე დაიკრეს „საბერო ნაციონალური მიზნები“, როგორც ამას ბამოსთქამებდ ზოგიერთ რუსი აზნანგები „**общенациональные задачи**“ ე. ი. ისეთი მოთხოვნების წამოყენება და ხაზმასმა, რომელიც საბერო იქნება რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ნაციების თვალა პროვოკაციულ კლასებისა და საზოგადოებრივ ჯგუფებისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში ეს აზნანგები ნაკიათ აღიარებდნენ თუნდ იმ ხალხს, იმ 150 მილიონ მცხოვრებთ, რომელთა შემორჩენული აქვს ერთი რკინის სალტე წოდებული რუსეთის სახელმწიფოთ.

ერის*) განვითარებაში, თუმცა არც იმდენათ დიდი, როგორც ამას ფიქრობს ბ-ნი ჯორჯაძე; მაგრამ მაინც მის არა იშვიათთ გამოუჩენია ისტორიის განმავლობაში „ძალა ვათქვევისა, ჩაკირისა და შეერთებისა“. ეს აგრეთ უნდა ყოფილიყო, რადგან სახელმწიფო ადამიანებს შეკლროთ აკევირებს განსაზღვრულ ტერიტორიასთან და ამ რიგათ მათ შორის აბავს მუდმივ ურთიერთობას, რაიც საფუძვლათ ხდება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ განვითარებისათვის. სხვა და სხვა ნაციის ხალხი, ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მოტანებული, შეიძლება ერთმანეთში გაითქვიფოს და ერთ ნაკიათ შედუღდეს, მაგრამ შეიძლება მოხდეს წინააღმდეგეც. ასე მაგ. ავსტრიაში საერთო სახელმწიფო ცხოვრებამ არამც თუ არ გათქვიფა, არ ჩაკირა და არ შეაერთა სხვა და სხვა ნაციები, არამედ იქ ასპარეზზე გამოიყვანა ახალი ნაციები, და რაც დრო მიდის, იმდენათ ავსტრიის ერები უფრო და უფრო მეტ უნარსა და ენერჯიას იჩენენ თავიანთ ეროვნულ თვითარსებობის დასაცავათ და ეროვნულ განვითარების უზრუნველ საყოველთა.

ბ-ნი ჯორჯაძე დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა მან სახელმწიფოს აუციეცა (ძალათ შეუკევირა) ერი და პირველი მეორეს წარმომშობათ და ბედ-იღბლის გამამყვეტეათ გამოაცხადა. ეს შეცდომა თავის დროზე სამართლიანათ აღნიშნა ანმა (იხ. მისი „სადაო საკითხები“ „ცხოვრების საკე“ № 18), მაგრამ ამან თავის მხრივ არა ნაკლები შეცდომა დაუწეა, როცა გვაუწყა „ნაციის დამახასიათებელია ტერიტორიაო.“ („ცხ.სარკე“ № 9, „ნაციონალური კითხვა“) ნამდვილათ კი ტერიტორია დამახასიათებელია სახელმწიფოსი და არა ნაციისა, ტერიტორია არის შემადგენელი ელემენტტი სახელმწიფოსი, ეს უკანასკნელი და არა ნაცია არის მატარებელი ტერიტორიალურ პრინციპისა. ასე გვასწავლის თვით სახელმწიფო უფლებმა. მართალია ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის განვითარებაზე, ის ერთობ დიდ როლს თამაშობს ნაციის ბედ-იღბალში და აი სწორეთ ეს გარეობება იძლევა ელითზიას, ვითომ ტერიტორია იყო ნაციის არსების ერთი შემადგენელი ნაწილი. ასე მაგ. თუ ერთი და იგივე ნაცია გაითიშა, განცალკევდა ტერიტორიალურათ და ამ რიგათ დაყოფილ ნაწილთა შორის შეწყდა სისტემატიური მიმოსვლა-ურთიერთობა, მაშინ ნაწილები უშეკვლათ ითიშებიან ნაციონალურათაც, ე. ი. აღგებთან ვადაგვარებს გზას და ბოლოს და ბოლოს გადიკტივიან სხვა და სხვა ნაციებთ. მაგრამ ასე არა ხდება ყოველთვის. თუ ნაციას უკვე მიუღწევია განვითარების განსაზღვრულ სიმაღლემდე და ამასთანვე უკვე შექმნა ურთიერთობა—მიმოსვლის იმგვარი საშუალებანი, როგორც ერის რკინის გზები, ორთქლითმავალი ეგემები, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, ამასთანვე წიგნები და ჟურნალ

*) მკითხველს ვთხოვ დახსიანოს, რომ სიტყვებს „ნაცია“ და „ერი“ ვხმარებ ერთ და იმავე ცნების აღსანიშნავათ: მათ შორის არავითარ განსხვავებას არა ვხედავ.

-გაზეთობა, მაშინ ნაცია, განკალკეველი ტერიტორიალურათ, სრულებითაც არ იშლება ნაციონალურთ. თანამედროვე ისტორია მოწმობს, რომ ასეთ პირობებში განკალკეველი ნაწილები თანდათან კვლავ უახლოვდებიან, შევიდნათ უკავშირდებიან ერთმანეთს და განაგრძობენ საერთო ნაციონალური არსებობას. ხოლო თუ ნაცია იმდენათ დაიქსაქსა ტერიტორიალურათ, რომ მას აღარ მოეპოვება ერთი ნაციონალური კერა, ე. ი. ერთი ადგილი, სადაც სცხოვრობდეს განსაზღვრული რიცხვი მისი ეროვნების ადამიანებისა, თუ აღარ მოეპოვება ერთი თუნდა პატარა აუზი, საიდანაც ეროვნული სიკაცხლის ნაკადული ვგზავნებოდეს მის დაქსაქსულ ნაწილებს, მაშინ ეს ნაცია უქვევლათ ისპობა. მაგრამ ასე ხდება იმიტომ კი არა, ვითომ ტერიტორია იყოს ნაციის არსების შემადგენელი ელემენტი (ნაწილი), არამედ შხოლოთ იმიტომ, რომ ტერიტორია, დედა. მიწა ადგება, ბუნებრივი ნიადაგია, როგორც ყოველგვარ სიკაცხლის, ისე ყოველგვარ სოციალურ მოვლენის და ერთ სწორეთ ასეთ მოვლენას შეადგენს ეროვნებაც.

დიდ ხანს ფიქრობდენ, ვითომ ნაციის ჰქონიდეს საერთო ჩამომავლობა, ერთი გვარტომობა. თითქმის ყოველ ნაციას მოეპოვება ზღაპრული თქმულებანი, რომელნიც მოგვითხრობენ მის ერთ დედ-მამისაგან წარმოშობას. მართლაც თვითეულ ნაციას ჰყოლია საერთო წინაპრები, მაგრამ დღეს აღარ მოიპოვება თითქმის არც ერთი ნაცია, რომლის შემადგენელ ადამიანთ ძირლებშიც არ ედგას სხვადასხვა მოდემის სისხლი. მეცნიერებამ დაწმდილვებით იცის, რომ მაგ. იტალიელები ჩამომავლები არიან ეტრუსკელების, რომაელების, კელტების, სარაკინელეების, ბერძენების და გერმანელების; თვითონ დღევანდელი გერმანელები ჩამომავლები არიან გარდა ძველ გერმანელების, აგრეთვე სლავიანების, კელტებისა და სხვ., ხოლო დღევანდელი ფრანგების სისხლში ურევია გლეების, ბრიტების, რომაელების და გერმანელების სისხლი და სხ.

თქმა არ უნდა, რომ არც სარწმუნოების ერთობა ჰქმნის ნაციას. მიუხედავით იმისა, რომ სარწმუნოებაც ზოგჯერ თვალსაჩინო როლს თამაშობს ერის ცხოვრებაში. მაგ. განსაზღვრულ პირობებში ნაციის სარწმუნოებრივ განკალკევებამ შეიძლება საორკანო ხელი შეუწყოს ამ ნაწილების ნაციონალურ განკალკევებას ე. ი. ნაციონალურ გადაგვარებას. ასე ხდება, როცა ერთი იმყოფება კულტურის უმაღლეს საფეხურზე, როცა სარწმუნოება შეიცავს და თავის ელფერს ადებს ხალხის თითქმის მთელ სულიერ კულტურას. მდამბოია ხალხი დღესაც ერთმანეთში ურევს „რაჯულსა“ და ეროვნებას); მაგრამ ყველა ოდ-

ნავაც შეგნებული დღეს კარგათ ხედავს, რომ ერთ და იმავე ნაციის ადამიანები უმეტეს ნაწილათ სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ და ამით სრულიადაც არ ირღვევა ნაციონალური ერთიანობა.

ამაზე ლაპარაკი შეტია. სამაგიეროთ სერიოზულ განხილვას ითხოვს ენა, რასაც ბევრი სწავლული აღიარებს იმ ცემენტათ, რომელიც ადამიანებს ადულებს ერთ ნაციათ. ენა მართლაც და აუცილებელი პირობაა ადამიანთა შორის რაიმე ურთიერთობის გასაწინათ, რაიმე საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლათ. ენის საშუალებით ინახება ზენ-ჩვეულებმა, ენით, ზებირ-სიტყვით და ნაწერი თუ ბეჭდური სიტყვით ერთი თაობიდან მეორე თაობაზე გადადის ადამიანთა ცოდნა-გამოცდილება და სხ. ენას უქვევლათ შესწევს ძალა ნაციის ჩაკირებისა და კონოლიდაციისა (გამაგრებისა), ენის როლი იმდენათ დიდია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის გადაქარბება, მაგრამ კაუტკის, ჩენის ფიქრით, მიხედვით გადაქარბებულიათ აქვს წარმოდგენილი ეს მნიშვნელობა.

ჩენის აზრით—სწერს კაუტკი—ეროვნების უუმათერესი დამახასიათებელი არის მწიგნობელი თვისება არის ენა²⁾. კაუტკისთვის ენა არის დედა ძარღვ ნაციის არსებობისა. იგი იქამდის მიდის, რომ სწერს: „ინგლისელი (მაგალითათ) ინგლისელათ რჩება იმ დრომდე, სანამ ის ინგლისურს უფრო უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე სხვა რომელსამე ენას. ხოლო თუ ის ბერლინიში იცხოვრებს იმდენ ხანს და ინგლისელთთანაც ისე გასწყვეტავს კავშირს, რომ ინგლისურს ენას დაივიწყებს და გერმანული ენა გახდება მისთვის იმ ენათ, რომელზედაც მას უკეთ შეეძლება ლაპარაკი, ვინემ სხვა რომელსამე ენაზე, ან ენის ამგვარი შეცვლით იგი (ინგლისელი), რასაკვირველია, იქცევა გერმანელათ“³⁾.

ამ აზრის უსაფუძვლობა თავის თავად ცხადია. ვინ არ იცის, რომ მაგ. ქართველობაში ბევრი ინტელიგენტი რუსულათ უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ქართულათ, მარა მიუხედავით ამისა, არც თვით იმ ინტელიგენტებს და არც სხვას ჯერ არ მოსვლია აზრათ ის ფანტატიტური აზრი, ვითომ ივინი ამიტომ რუსები იყვენ და არა ქართველები. „შენი ენის მცოდნე—ამბობს კიდევ კაუტკი—მეგობრათ გიხდება, არ მცოდნე—უცხოა, რომლისადმი გრძნობენ-გარემოების და მიხედვით—ან გულგრილობას, ან დაცინვას, ან ზიზღსა და ან სიძულვილს.“⁴⁾ მაგრამ მაგალითისათვის მოხსნა რომ არ წაიციდეთ—გესხომებათ ამ დღეებში ზიზღსა და სიძულვილს, რომლის გამოხმატველი შეიქნა გავ. „გგოლის კაცკაზა“, წინ ვერ გადაეღობა ერთ და იმავე ენის ცოდნა. კაუტკი ასე განმარტავს თავის აზრს: „უცხოეთში ნაციონალური განსხვავება ხშირათ უფრო ძალუმათ იჩენს თავს, ვინემ უმკარესი კლასიური წინააღმდეგობა. თუ მაგ. გერმანელი მუშა წვა საავსანეთში და არ ეცო-

1) ერთხელ ერთმა კომუნალეთმმა მამპლიანმა ქართველმა, ჩემ შეკითხვაზე თუ რა ეროვნებას ეკუთვნოდა,—მომიბო „ათათარი ვარა“; როცა შევნიშნე, რომ მას ქართველბასთან ბევრი რამ აკავშირებდა, მან მიპასუხა: „ეგენი მართალია ქართველის გვება, მარა ყველ მიიქ ყლიფთრამდი თათარი ვართ, რადგან ჩენი რჯულ-ლი დათრისაა“.

2) იხ. Nationalität und internationalität გვ. 6.
3) იხ. Кризисъ Австрии (Языкѣ и націи) გვ. 4.
4) Кризисъ. Австріи გვ. 5

დინება არც ერთი სიტყვა ფრანგული, არც თავის გვერდით ეყოლება გერმანულათ მოლაპარაკე კლასიური ამხანაგები, მაშინ ის მიუხედავთ ყველა ინტერნაციონალურ და კლასიურ თვითშეგნება-სოლიდარობის, ფრანგ პროლეტარებ შორის თავს ძალიან ცუდათ იგროვებს, და პირველსავე გერმანულს, რომელიც მას გამოელაპარაკება, თუნდაც ეს იყოს ექსპლოატატორი (კაპიტალისტი), ვისაც იგი სამშობლოში სიძულვილით უყურებდა, უცხოეთში სიხარულით მიესალმება“⁵⁾ აქ აღბეჭდილია ისეთი შემთხვევა, როცა ნაციონალური განსხვავება მართლაც უკიდურეს ძლიერებით იჩენს თავს. მაგრამ აღნიშნულ სიხილოვანის იწვევს არა მარტო ენის სხვა-და-სხვაობა. ყველამ იცის ის ფაქტი, რომ უცხოეთში ხშირათ სიამოვნებით ხვდებიან თავის ნაციის ადამიანებს თვით ისინიც, ვინც უკვე კარგათ ლაპარაკობენ უცხო ენას. ჯერ კიდევ გრიბოილევა სთქვამს, რომ „უცხოეთში (როცა იმოგზაურებ) სამშობლოს ბოლიც კი მოგვწონს და გვესიამოვნება“. ამ დღეებშიაც ჩვენმა მცხოვრებმა პოეტმა აკაკიმ გამოაქვეყნა ერთი გულუბრყვილო ლექსი „პეტერბურგი“, სადაც იგი გვიხატავს თავის სილოყურ მელომარობას, რაც მან განიცადა ეხლახან პეტერბურგში ყოფნის დროს. ბ-ნი აკაკი მშვენიერათ მკოდნე რუსული ენისა—ათელიერებს, აკვირდება რუსეთის სატახტო ქალაქის და მის მცხოვრებთა სხვა და სხვა მხარეებს, მაგრამ მას თვალში არაფერი არ მოსდის და მისი გული-გონება ისწრაფის საქართველოსაკენ. პოეტს რუსის ქალის კი აღარ უნდა დაინახოს, ქართველი ქალი კი... „ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია.

იმის ერთ კონკრეტულ შემსწორავ სრულად, შენი რომ იყოს მთელი აზია!...“ როგორცა ხედავთ, აქ უკვე ენა აღარაფერ შუაშია.⁶⁾

ენის სასარგებლოთ კაუკკის მოყავს ერთი მეტათ მკვეთრი არგუმენტი, სახელდობრ, ის საპართლიანათ აღნიშნავს, რომ არც დღეს და არც გუშინ არ ყოფილა, ისტორიამ არ იცის ისეთი ნაცია, რომ არ ჰქონოდეს საერთო ენა. (დილოეტები თუ კილოკავები, რასაკვირველია, სახეში მისაღები არ არის). მართალია ებრაელები სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ებრაელების თვით ნაციაც ბევრისთვის დღეს საუკეთაო თუ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ებრაელები არ წარმოადგენენ ტიპიურ ნაციას. ეს ასეა მარა, ჩვენ კაუკკის ზემომოყვანილ არგუმენტს დავეუბრდაპირებთ შემდეგ გარემოებას. ირლანდიელები და ინგლისელები, დანელები და ნორვეგიელები, სერბები და კროატები და სხვა და სხ. ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთსა და იმავე ნაციას კი არ შეადგენენ. ეს მოვლენა ჩვენთვის საბოლოოთ ვაუტეხბარი დარჩებოდა, თუ კი ვირწმუნებდით, ვითომ ენის ერთობა ჰქმნიდეს ნაციას.

⁵⁾ Nationalität und internationalität ზე. 7—8.
⁶⁾ აღნიშნულ ნაციონალურ მრძნობას არც ვიწონებთ და არც ვიწუნებთ. ამაზე ცალკე გვექმება ლაპარაკი. აქ კი აღვნიშნავთ მარტო ფაქტს.

ცხადია ენა ვერ აგვისნის ნაციის არსებას. მაგრამ თუ ვერც ენა, ვერც ჩამომავლობა, ვერც ტერიტორია და სხ. და სხ. ვითომ ნაციის ელემენტები, ცალკე-ცალკე რეზულტი, ვერ იძლევა საკითხის ახსნას, შეიძლება ყველა ეს ელემენტები ერთათ აღებული შეიკადენეს საილუმოების გასაღებს. სწორეა ასე ფიქრობენ განსაკუთრებით იტალიელი სოციოლოგები. ამათი თეორიით ნაციას შეადგენს საერთო ტერიტორია, საერთო ჩამომავლობა, საერთო ენა, საერთო ზნე-ჩვეულებები, საერთო ქირი და ლხინის გამოცდა, საერთო ისტორიული წარსული, საერთო კანონები და საერთო სარწმუნოება. ასეთია ემპირიული თეორია. ამ შეხედულებას, სხვათაშორის, ემპირიკათ სცნობს ანი. იგი სწერს: „ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთიან რწმენებულებით, კულტურით და სხ. წარმოადგენს ერთ ენს ანუ (?) გეოგრაფიკობას“⁷⁾ (იხ. „ცხ. სარკე“, 18). მაგრამ ეს თეორია სრულიად სხვა-და-სხვა ძალისა და მნიშვნელობის გარემოებათ ერთსა და იმავე ქვაბში აქცევს; არ გვეუბნება თუ რათ ხდება, რომ ხშირათ არა ერთი და ორი აღნიშნული ელემენტი იკარგება ხოლმე, ნაცია კი არამც თუ არ იკარგება, პირიქით უფროს მკაფიო გამოხატულებით განაგრძობს ხოლმე არსებობას, ეს თეორია იძლევა — მეტ-ნაციის სისწორით—მხოლოთ ნაციის გარეგან აღწერილობას, იგი დასტურებს მოვლენის ზედაპირზე, სრულებითაც ვერ გვახედებს მის არსებაში; ეს არ არის მეცნიერული თეორია და როგორც ამნაირი უნდა უარყოფილ იქმნას..

ონ.



სამეცნიერო საუბარნი

ცხოველების განვითარება.

მეცნიერული ცოდნა ცხოველების წარმოშობისა მეცხრამეტე საუკუნემდე არ არსებობდა. საშუალო საუკუნოებში გამეფებული იყო სამადღელოება, რომელიც სასტიკათ იცავდა სამღეოა წერილის ყოველი სიტყვას და მეცნიერულ კვლევა ძიებას სდევნიდა. მეცნიერებს (ეცხლზედა სწვამდენ, ციხეებში აღპობდენ და ამ გვარ პირობებში ქემპირიტი ცოდნის აღორძინება და გავრცელება შეუძლებელი იყო. ცხოველთა გაჩენის შესახებ გაბატონებული იყო მოსეს მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს: ყველა ცხოველები თვით ღმერთმა გააჩინაო. მეცხრამეტე საუკუნემდე მეცნიერები დარწმუნებული იყვნენ, რომ დასაბამიდან ქვეყნისა უცვლელათ არსებობდენ ის ცხოველები, რომლებიც დღესაც არსებობენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეცნიერმა კოიეიმ დაამტკიცა, რომ სხვა-და-სხვა დროს დედამიწაზე არსებობდენ იმგვარი ცხოველები, რომლებიც შემდეგ მოის-

⁷⁾ აქ ანი ერთსა და გეოგრაფიკობას შუა თანასწორობის ხაზსა სვამს, თუმცა ერთს აუცილებელ თვისებათ თვითონვე სახელებს ენას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას და სხვა. რასაც გეოგრაფიკობა სრულიადც არ იმულისხმებს აუცილებლათ,

ონ.

ვენ; სამაგიეროთ მათი ალაგი დაიკავეს იმგვარმა ცხოველებმა, რომლებიც წინათ არ არსებობდნენ. რითი ხსნიდა თავის აღმოჩენას კიუვიე? ამ მეცნიერის აზრით დედამიწამ რამდენჯერმე გამოსცადა ძლიერი შერყევვა ანუ კატასტროფა, რომლის დროსაც ცხოველთა დიდი ნაწილი იხოცებოდა. ახალ ცხოველები საიდანა ჩნდებოდნენ? ახალ ცხოველებს ხელახლა აჩენდა ღმერთი ყოველი კატასტროფის შემდეგო, დასძინა კიუვიემ. ამგვარათ მოსე წინასწარმეტყველი ამტკიცებდა: ღმერთმა ერთხელ გააჩინა ცხოველებო; კიუვიემ კი მოსეს მოძღვრება შეასწორა ახალი აღმოჩენების თანახმათ: ღმერთმა ერთხელ კი არა, ზამოღდევჯრემ გააჩინა ცხოველებო. კიუვიეს მოძღვრება გამეფებული იყო მეცნიერებაში 1859 წლამდე, როდესაც გამოვიდა დარვინის შესანიშნავი წიგნი ცხოველთა წარმოშობის შესახებ. კიუვიეს წინააღმდეგ პირველთა ამხედრდა ლამარკი. ლამარკი ამტკიცებდა: ყველა ცხოველები დროთა განმავლობაში ნელა-ნელა იცვლებიან, სხვანაირდებიან და თავის წინაპრებს თანდათან შორდებიან; ყველა ცხოველები თავდაპირველათ ბუნებრივთა, თავის-თავთ გაჩნდნენ დედა მიწის ზურგზე და მას აქეთ გარეშე პირობებთან შეგუება იწვევდა და იწვევს ცხოველებში მუუქერებელი ცვლადობასო. ადამიანის წარმოშობის შესახებაც ამგვარისვე აზრის იყო ლამარკი; მისი შეხედულებით ადამიანი თანდათან განვითარდა მიმუშენებისაგან. ამ განვითარებას ლამარკი სასწაულთი კი არა ხსნის, არამედ ბუნებრივის კანონებით. მუუქერებელი განვითარება ანუ ევოლუცია—აი რამ წარმოშობა ცხოველები ლამარკის შეხედულებით.

სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობა იმდენათა ჰქონდა გამჟღარო მცენიერებს, რომ ლამარკის მოძღვრებას არაფერ არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. რადგანაც ლამარკი ყოველგვარ კავშირს სწყვეტდა სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობასთან, კიუვიე კი თავის მოძღვრებას ამ ცრუმორწმუნეობაზე ამყარებდა, გამარჯვებული კიუვიე გამოვიდა. გაიარა იცმა წელიწადმა. მეცნიერმა სენტ-ილიერმა, ლამარკის მიმდევარმა, დიდი იერიში მიიტანა კიუვიეზე, მაგრამ სწორი შეხედულება აქაც დამარცხდა და კიუვიემ ისევ გაიმარჯვა. ამის მიზეზი ერთი მხრით ის იყო, რომ ცხოველების თანდათან განვითარების დასამტკიცებლათ საკმაო ფაქტები არ არსებობდნენ, მეორეს მხრით, რომ საზოგადოებას და მეცნიერებას ბრბათ სწამდათ სარწმუნოებრივი მოძღვრების ყოველი სიტყვა და სასტიკით ეწინააღმდეგებოდნენ ყოველ იმგვარ მოძღვრებას, რომელიც სარწმუნოებას არ ეთანხმებოდა. გაიარა დრომ; მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, გადაშენებული ცხოველების ძვლების შესწავლამ აღმოაჩინა ურიცხვი ფაქტები ლამარკის აზრის დასამტკიცებლათ; ყოველივე ამით ისარგებლა დარვინმა და კიუვიემ საშუალოთ დაამარცხა.

რას წარმოადგენს დარვინის თეორია ანუ დარვინიზმი?

ყოველ ცხოველს გარეშე ბუნებაში წინ ხედება სხვადასხვა დაბრკოლება; ცხოველი ვერძეის ყველა ამ

დაბრკოლებას, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, თვისი არსებობა დაიცვას; ერთი სიტყვით ყოველი ცხოველი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვის არსებობისათვის. ამ ბრძოლაში ზოგი მარცხდება, იღუპება და ისპობა, სხვები კი იმარჯვებენ და ცხოვრებას განაგრძობენ, მრავლდებიან. მარცხდება ის, ვინც ვარეშე პირობებს ვერ შეეგუება; იმარჯვებს ის, ვინც ვარეშე პირობებს შეეგუება, აიტანს. ამგვარათ ბუნებაში სწარმოებს ერთგვარი არჩევა, რომელსაც დარვინი უწოდებს ბუნებრივ არჩევას: უფარვისნი იხოცებიან და ისპობიან, ვარვისნი სძლებენ და შენდებიან. რადგანაც გარეშე პირობები ნელ-ნელა და შეუჩერებლათ იცვლებიან, ბუნებრივი არჩევაც აასებობისათვის ბრძოლაში იწვევს ცხოველთა ცვლილებას და დროთა განმავლობაში ნაშეირნი თანდათან შორდებიან თავის უძველეს წინაპრებს. მაგალითად აღამიანმა უძველეს დროს მოაწინაურა მგელი. მოწინაურებული მგელი თანდათან დაშორდა თავის გარეულ წინაპარს და ბოლოს გადაიქცა ძაღლათ.

დარვინის თეორიით ცხოველები ერთხელ და სამუდამოთ კი არ გაუქვნია ღმერთს, არამედ ისინი ბუნებრივთ განვითარდნენ.

ადამიანის განვითარებაც ამ ბუნებრივი არჩევის კანონს ექვემდებარება. ჯერ ლამარკმა გამოთქვა შემდეგი აზრი: ადამიანი მიმუშენებისაგან უნდა განვითარებულიყო. დარვინი თავის წიგნში ადამიანის წარმოშობის შესახებ ამტკიცებს: ადამიანი და მიმუშენები ერთი და იმავე წინაპრიდან განვითარდნენ. დღეს მეცნიერება უკვე აქვს ჩონჩხი იმ ცხოველისა, რომელიც მიმუშენსაც ჰგავს და ადამიანსაც, — ის არც მცლათ მიმუშენი, არც მთლათ ადამიანი. დღეს უკვე მეცნიერულათ არის დამტკიცებული, რომ ადამიანი თანდათან განვითარდა მიმუშენის მგავს ცხოველისაგან. უძველეს დროს ძუძუმწოვარ ცხოველთა სამეფო ვაცილებით უფრო ჰატარა იყო, ვიდრე დღეს არის, და მეცნიერული კვლევა აშკარათ გვეუბნება, რომ ყველა ძუძუმწოვარი ცხოველები და მათთან ერთათ ადამიანი ერთი და იმავე წინაპრის ნაშვილები არიან, ე. ი. რამდენიმე მილიონი წლის წინეთ დღევანდელი ხერხემლიანი ცხოველები და ადამიანი არ არსებობდნენ,—ყველა ამთ ნაცვლათ იყო ერთგვარი ძუძუმწოვარი ცხოველები, რომლებისაგანაც განვითარდნენ მილიონი წლების განმავლობაში ყველა დღევანდელი ძუძუმწოვარი და ადამიანიც. თუ ესენი ამდენთ დაშორდნენ ერთმანერთს თავისი გარეგნობით, ეს გამოიწვია ბუნებრივმა არჩევამ, რომელიც შეუჩერებლათ მოქმედებდა რამოდენიმე მილიონი წლების განმავლობაში. მიუხედავად დიდი განსხვავებისა დიდი მგავსებადარჩა დღემდე. ყველა ხერხემლიანი ცხოველები რომ შეადაროთ ერთმანერთს, მათს აგებულებაში ძალიან დიდ მსგავსებას ჰპოებთ. ბაყაყის ჩონჩხი რომ ადამიანის ჩონჩხს შეადაროთ, გასაკარ მსგავსებას ჰპოებთ. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ფრინველის ფრთა და ადამიანის

ხელი ერთი და იმავე ასოსაგან განვითარდნენ, მაგრამ გარეუე ცხოვრების სხვა და სხვა პირობებში ესენი ერთი მეორეს დააშორა მილიონი წლების განმავლობაში.

გაერცლებულია შემდეგი აზრი: ადამიანს ორი ხელი აქვს და ორი ფეხი, პირუტყვებს კი ოთხი ფეხიო. გამოკვლევა დაამტკიცა, რომ პირუტყვების წინა ფეხები თავისი აგებულებით უკანა ფეხებს კი არა ჰგავს, არამედ ადამიანის ხელებს. ამგვარაა შესწავლიან დაამტკიცა, რომ ცხენის, ხარის, ძაღლის და სხვა წინა ფეხი უფრო ადამიანის ხელსა ჰგავს, ვიდრე ამავე პირუტყვების უკანა ფეხებს, რასაკვირველია, გარეგნობით კი არა, არამედ ძვლებით. გარეგნობით ადამიანის ხელებსა და თევზის წინა ფრთებს შორის არავითარი მსგავსება არ არის; ნამდვილათ კი თევზის წინა ფრთებში იგივე ძვლებია, რაც ადამიანის ხელებში, ხოლო ძალიან შეცვლილი და სხვა რიგზე დალაგებული. აიღეთ შინაური პირუტყვები და ადამიანი. ადამიანი ისხება იმგვარათ, როგორც პირუტყვები, ვითარდება დედის საშოში ისე, როგორც პირუტყვები. საშოში როგორც ადამიანის ჩანასახი, ისე პირუტყვებისაც მოთავსებულია ერთგვარ ბუდეში ანუ მომყოლოში. დაბადებისთანავე ადამიანი საჭრდობს რძით, როგორც სხვა პირუტყვები. მზავსება უფრო დიდია, როცა ადამიანებსა და მაიმუნებს შეადარებთ. მაიმუნებში ადამიანს განსაკუთრებით ჰგავს ორანგი და პიბონი, რომლებიც აზიაში სტავრობდნენ, და ჰორდულა და შიშინაზე, რომლებიც აფრიკაში არიან. ამიტომ ამ მაიმუნებს უწოდებენ მეცნიერები იდამიანის მსგავს მაიმუნებს. ამ მაიმუნების აგებულებას შესწავლიან გამოარაკვია, რომ იმათ ჩონჩხს შეადგენს ორასი პატარა და დიდი ძვალი. ადამიანსაც სწორეთ ამდენივე ძვალი აქვს ჩონჩხში. ყველა ეს ძვლები მაიმუნების ჩონჩხში იმ რიგზე არიან მოთავსებული, როგორც ადამიანის ჩონჩხში და ადამიანისა და ამ მაიმუნების ჩონჩხი ერთი-მეორეს ძალიან ჰგვანან. ამ მაიმუნებსა აქვს სხვადასხვა სიდიდის სამასი კუნთი. ამდენივე და ამგვარი კუნთები აქვს ადამიანსაც. ტვინის აგებულება და გარეგანი მოყვანილობაც ამ მაიმუნებს იმისთანა აქვს, როგორც ადამიანს. ადამიანისა და ამ მაიმუნების გულს ერთმანერთში ვერ გააჩვენებ. ამ მაიმუნებს კბილები აქვთ ოცდა-თორმეტი. ამდენივე კბილი აქვს ადამიანსაც. ამგვარივე მსგავსება ადამიანისა და მაიმუნების ქაკებში, კუჭ-ლივდში, ნაწლავებში, ფილტვებში, სქესობრივ ასოებში და სხვ. ამგვარათ ადამიანსა და ამ მაიმუნებს შორის საერთო გაცილებით მეტია, ვიდრე ამ მაიმუნებსა და დანარჩენ ცხოველებს შორის,—ეს მაიმუნები უფრო ადამიანთა მოდგმას ეკუთვნენ, ვიდრე ცხოველებისას. თუ მხედველობაში მივიღებთ ბუნებრივ არჩევას, რომელიც დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებას იწვევს ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში, მაშინ აღვიო ვასაგები იტყება ისიც, რომ იყო ისეთი დრო, როცა დედა-მიწის ზურგზე არც ადამიანი არსებობდა, არც მაიმუნები. ამათ ნაცვლათ სცხოვრობდნენ მაიმუნის მსგავსი ცხოველები, რომლებიდანაც

დროთა განმავლობაში განვითარდნენ მაიმუნები და ადამიანი. როდესაც თქვენ წარმოიდგენთ დღევანდელ განვითარებულ ევროპიელს, შეუძლებლათ მიგანიათ, რომ მისი წინაპარი მაიმუნის მსგავსი ცხოველი ჰყოფილიყო. მაგრამ დედა-მიწის ზურგზე დღესაც ბევრია სხვა და სხვა ალფას ისეთი ველურები, რომლებსაც არაფერი არა აქვთ საერთო სულიერის მხრით დღევანდელ განვითარებულ ევროპიელთან. აი ამ ველურ ადამიანებს თუ შეადარებთ მაიმუნებს, მაშინ არც ისე გუეუცხოვბათ მეცნიერების აზრი: ადამიანის წინაპარი მაიმუნის მსგავსი ცხოველი იყო.

(შემდეგ იქნება).

ივ. გომარტოლი.

სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში.

კავკასიის ნამესტნიკმა თავის უკვეწერდომილეს ცნობაზე ექსარხოსის-სტავროპოლის მოკელის შესახებ მიიღო ხელმოწიფისაგან 2 ივნისს შემდეგი პასუხი: „რამდენი ამაღლევა საქართველოს ექსარხოსის ნიკონის საზიზარა მკვლელობამ. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის ყველა კეთილ-განიერნი მსჯობრებნი ამ ბოროტ-მოქმედებით ისე არიან შეწუხებული, როგორც მე. ვადალო იმათ, ვინც თქვენ გამოიცხადათ თავისი აღშფოთება და მწუხარება.“ „ნიკოლოზ.“

2 ივნისს, მკირე პანაშვილის გადახდის შემდეგ, დილის რვა საათზე, საქართველოს ექსარხოსის გვამი სამღვდელთაგან გამოხსენა ჯვარის ეკლესიიდან და გემართულ სიონის კათედრალურ ტაძარსკენ. სინოდალურ კანტორის შესავლითან, სადაც მოკლულ იქნა ექსარხოსი, გადახდას მკირე პანაშვიდი. სობოროში მწირველი იყო სტავროპოლის ეპისკოპოსი ავაფოლორი, აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი, ბაქაოს-გორგორი, იმერეთისა-გიორგი, სუხუმისა-დიმიტრი, გორისა-პეტრე და ალავერდისა-დავითი.

წირავს დაესტრენ გრავ ვორონკოვ დაშოვის მეუღლე, ნამესტნიკის თანამეგწენი, გენერალ-გუბერნატორი, თბ. გუბერნატორი, საგუბერნო და სამხრო თავალ-აზნაურობის წინამძღონი, ქალაქის თავი და ხმონები, სხვა და სხვა ქალაქების წა მომადგენელი და სხვა.

წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა. წირვის გათავების შემდეგ სამღვდელთაგან გამოიტანა კუბო და დასაყენა კატაფალკაზე. სამღვდლოვარი პროცესია დაიძრა 12³/₄ საათზე. ქუჩაში გამწკრივებული იყო ჯარი. ერევნის მოედნიდან, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი, გამწკრივებული იყო ყველა სასწავლებლის მოსწავლე ქალი და ვაჟები თავიანთი მასწავლებლებით. იყვენ აგრეთვე სომხის, მამადადისის, ქათველ-კათოლიკეთა და სხვა სამღვდლოების წარმომადგენელი. რამდენიმე ადგილას გადახდილ იქნა მკირე პანაშვიდი. საღვურზე მივიდა პროცესია 3¹/₂ საათზე. სამღვდელთაგან კუბო შეიტანა

„სამეფო საფანე“ში, სადაც აგრეთვე გადიხადეს პანაშენი. ვაგზალში ელოდებოდა სამელოვიარო მატარებელი, რომელიც განგებ იყო მომხადებელი ექსარხოსის ნაშთების გადასატანათ; ამა მატარებელს თან გაჰყვა 5 კაცისაგან შემდგარი დებუტაცია. კუბოს ამკობდა რამდენიმე გვირგვინი, ოცამდის ხატი, ვაზის ჯვარი და სხვა.

„პეტერბ. ლისტოკ“ში დაბეჭდილია: „29 მაისს სინოდმა კავკასია და თბილისიდან მიიღო კერძო ცნობები, რო პოლიციამ მიაგნო საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მკვლელების კვალსა. ამბობენ, რომ ეს მკვლელობა საქმეა მთელის ბრბოსი, რომელმაც ვერ მოახერხა მკვლელობის კვალის დამალვაო.“

ბაქოს გზაზე დაუქვრიათ ერთი დამოქნის კასაზე თავ-დამკვეთიანი, რომელსაც აღმოსქენია მათუჭრის რეგოლევი და 13,800 მან. დაქვრილი თბილისისკენ გამოამზავნეს.

თბილისის გენ.-გუბ. ვანკარგულებით მეხუთე საპოლიციო უბანში საშხედრო წესების მოხსნამდე დიკეტა ყველა საჩაიე, რესტორანები, ლენის სარდაფები და სხვა ადგილები, სადაც ვაჭრობენ მაგარი სასმელებით. ვაჭრებმა შუამდგომლობა სთხოვეს ქალაქის თავს გენ.-გუბ. წინაშე, რომ მათ ნება მისცეს მან განაახლონ ვაჭრობა.

3 ივნისს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრბა გადაუწყვიტა გორის მაზრის მცხოვრებ ალექსანდრე ბერეჯანოვს, რომელსაც ბრალათ ედება საგუბერნიო ციხის ტუსადის მოკვლა.

ქალაქში სხვა და სხვა უბნებში გახშირებულია ჩხრეკა-დაპატიმრება.

კვირას, 1 ივნისს, პოლიციამ მთელს ქალაქში აღკრძალა გაყიდვა პატრიოტების გახეთის „გოლოს კავკასია“სი; ვისაც კი ჰქონდა ეს გაზეთი, ჩამოართვა და წაიღო. 4 ივნისს გაზეთი ისევე გამოვიდა. ეტყობა, გავრცელებული ხმები გაზეთის გამოცემის აღკრძალვაზე, უსაფუძვლოა.

დამოქნის კასის ვაკარცვის დროს მოჰკლეს ერთი თავ-დამსხმელთაგანი. როგორც „თბ. ლის“ შეუტყვიო, მოკლული აღმოჩნდა თბ. მცხოვრები თურქიანცი. იურქიანცი წინათ ყუმბარების შენახვისათვისა ყოფილა დაპატიმრებული, მაგრამ ამას წინათ სხვებთან ერთად გაპარულია.

დღეს, 8 მაისს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრინციპალ-ოცენტი ივ. ა. ჯავახიშვილი თბილისის საქრებულოს დარბაზში წაითხახეს ლექციას ქართულ ენაზე „ეკონომიური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოსი ეთნოგრაფიკულ საუკუნეში“.

დღეს უნდა მოხდეს არჩევნები სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრებისა. როგორც ვიცით, არჩევნები უნდა მოხდარიყო წარსულ კვირას, მაგრამ ექსარხოსის მოკვლის გამო გადაიდო დღეისთვის.

ამ დღეებში ვათაედა „სოქის რესპუბლიკის“ საქმის გარჩევა. პასუხის ვებაში მიცემული იყო 109 კაცი. სასამართლომ 40 გამართლო, ერთს გადაუწყვიტა 15 წლის კატორდა, ორს—ათი წლის. დანარჩენებს მიესაჯათ ორთვიდან სამ წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

გამოვიდა ცალკე წიგნათ ხუთმოქმედებიანი დრამა „დავანტყუენი“, პ. რიეთელისა. ფასი 30 კ.

რ უ ს ე თ ი.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ლომში—სამს, სევასტოპოლში—ერთს.

სიკვდილით დასაჯეს: უფაში—ხუთი, სევასტოპოლში—ერთი.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: უფაში— ორს, კიევი— ერთს, პოლტავაში—სამს, ეკატერინოსლავში— ორს, რიგაში—ერთს. სიკვდილით დასაჯეს რეველში ლეხმუსი.

პეტერბურგში ნევის პოსპექტზე 24 მაისს გენერალმა ე. გურკომ სცემა უზნის ზედამხედველს, (ოკოლოდონისკ) რომელმაც შეაჩერა გურკოს ეტლი ნაბერენი ქუჩაზე და კუჭრის უბრძანა სხვა გზით წასულიყო. გენერალი გაჯავრდა, ჩამოვიდა ძირს, ხელი ჰკრა პოლიციელს, შეხტა თვითონ კოხლაზე, უზნის ზედამხედველს „ქნუტი“ უჭირა და გაუღდა გზას. პოლიციამ ამ საქმეზე ოქმი შეადგინა და სასამართლოს გადასცა.

გაზ. „რუსი“ დააჯარიმეს 1,000 მანეთით.

ის აფერისტი, რომელმაც ამას წინათ ქ. ოდესაში ცნობილ ბოქაულის, მიქიაშვილის გარადეოები მოსთხოვა, ვითომ ერთი საევეო ბინის გასაჩხრკეთა და მართლაც გაჩხრკა როტისტრის სახელით ვილაც მდიდარი ქალის ბინა, საიდანაც მან 400 მანეთი წაიღო, აღმოჩნდა ოდესის საიდუმლო პოლიციის ყოფილი აგენტი. („რგა“).

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—ხუთს, ლომში—რვას, ოდესაში—ერთს, პენზაში—ორს.

სიკვდილით დასაჯეს: ლომში—ოთხი, ოდესაში— ერთი, უფაში—ხუთი.

ქ. მინსკში შეაჩერეს გაზ. „ოკრანინა“; მოსკოვში დააჯარიმეს გაზ. „რული“ 500 მან.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში— ორს, ლომში—სამს, ოდესაში—ერთს, ვილნოში—ერთს, უფაში—ერთს, ეკატერინოსლავში—ერთს.

სიკვდილით დასაჯეს: ლომში—სამი, ეკატერინოსლავში—ერთი.

ლოძის გენერალ-გუბერნატორმა დაადგინა განაჩენი... დაისაჯოს 16 წლის ყმაწვილი „როზგით“.

კანეცკის მზარის სოფ. მედვინიდან გადაასახლეს 116 გლეხი ოლონეცკის გუბერნიაში.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: უფაში—ერთს, ოდესაში—ერთს, ვარშავაში—ექვსს, ლოძში—ერთს, ხარკოვში—ორს.

სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში—ერთი, ლოძში—ოთხი.

პეტერბურგში შეაჩერეს გაზ. „სებაოდნია მისლი“; ვარშავაში დააჯარიმეს 200 მან. გაზ. „გოლოს ნაროდა“, სარატოვში—300 მან. გაზეთი „სარატოვსკი ვესტნიკი“.

სიკვდილი მიუსაჯეს: სამარაში—ოთხს, ვარშავაში—შვიდს, პოლტავაში ერთს.

სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში—ოთხი, ლოძში—ოთხი.

სარატოვისა გაზ. „იუჟნი ტელეგრაფი“ დააჯარიმეს 200 მანეთით.

უცხოეთში.

სპარსეთის მთავრობამ თბილისში გამოუგზავნა რუსეთის მთავრობას 50,000 მან., როგორც წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ბერლინიდან მოსულ ცნობებით თეირანში მდგომარეობა სერიოზულია; რუსეთის ჯარი სახდელარზე დგას და მზათ არის სპარსეთის ტერიტორიაზე გადავიდეს.

თეირანი ეხლა ტელეგრაფით მხოლოდ ასხაბადთანაა დაკავშირებული, სხვა გზით ის მოწყვეტილია დანარჩენ პუნქტებს; შაჰის წინააღმდეგ გამართულ აგიტაციაში უმთავრესი მონაწილეობა მიუღიათ რამდენიმე წარჩინებულ და გამოჩენილ პირს, რომლებიც შაჰის ბრძანებით დაატუსაღეს. შაჰმა გამოსცა „დასხათი“ (რწმუნება), რომლითაც ის ცდილობს დააჯეროს ხალხი, ვითომ ის ერთგულია იმ კონსტიტუციის, რომელზედაც მან ფიცი დასდო. ამ რწმუნებამ ხალხში შაჰისადმი დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

სპარსეთი. რუსეთის მისიამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო უკიდურესი რეაქციონერი, რომელსაც ხალხი სდევნიდა. ამ გარემოებამ გამოიწვია თეირანში ძლიერი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. შაჰი - მთელი თავის ერთგული ჯარით გავიდა ქალაქიდან. ენჯუმენის კრებამ მთელ ღამეს გასტანა თავრიზში. შედგა ძლიერი პარტია, რომელიც თხოულობს ადგირბეჯიანის გამოყოფას და მის სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას. ადგი-

რეჯიანი ჩამოშორდა სპარსეთს და აირჩია დროებითი მთავრობა. ქალაქი სასცეა პროკლამაციებით. ზოგი ფურცლები მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ; ზოგი მოუწოდებს ხალხს სახალხო მილიციის შესადგენათ. ისურება ლუქნები. ქალაქში აღელვებაა. მდგომარეობა ამ წამს ძალიან საფიქრებელია. რუსეთის გავლენის სრული დამარცხებაა. უბრაუნდებით გრობოდევის დროს. რუსეთის მისიამ თეირანში თავის ორქოფი პოლიტიკით ძალიან დასცა რუსეთის პრესტიჟი. მან ხალხი მეტათ გააბრაზა და ააღელვა. ხალხი შეიარაღებულია მუზერებითა და მონღოხებრებით. რუსეთის კალონია ძლიერ დაფიქრებულია. შეწყდა მოძრაობა თეირანისა და ორივე ინდო-ევროპის ტელეგრაფები შორის. ვაქრებში გავრცელებულია ხმა, რომ თეირანში დიდი არეულობა უნდა იყოს. „Нов. Время.“



მშვიდობით!

მითხარამ, წამიყვამ!

მთვარე, წამიყვა,—გარდამაცილე ბედუკუდმართსა სამშობლო მხარეს, გარდამაცილე და ამაცილე ტანჯულთა კენესას და სიმწუხარეს. ქარო, დაქპოლენ,—ღრუბელთ სრიალით გაღმასერინენ უცხოთ სამყარო, ეგებ იქ მაინც გულის სიამით სათუთსა რწმენას კელავ დევმყარო.

გაწალე აფრა, ოჰ, განმაშორე
დანგრეულ ქვეყნის ჩაფერული კერას.
მწარ-მოგონებაც ჩამოაშორე
სამსალა-ნარვე შვე ბედისწერას.

იქ შხამ-ნადევლაო ჩანთხეულია
გაშმაგებულია სისხლი ა კრემლი,
და იმ ნადევლში ჩანაცრულია
ერის გულისთქმა, მარად საცრემლი.

ვერა, ვერ ვუძლებე სუწათ მის ცქერას,
ბოლმა და გესლი გულში გუბდებამ:
ეჰ, რაღა ჩაჰკლავს მწარ გულს-ძვერას,
როს ტურფა მდებო არ ბობინდება!

ცხოვრების ბაღმა დაიყვავილა,
ადრე ჩამოსქენა ქორფა კოკრები,
მებრძოლთა რაზმმაც ვერ იყვავილა,
უღრმო გასცივიდა მწვანე ფოთლები.

მოღუნდა მაჯა ჩანაველა ბრაზი,
რისხვა ჩამქრალა ერის გულსზე,
შერიკა რწმენა, სათუთი, ნაზი,
ქიბხოს დაუთრთივლავს აღმოფრენაზე.

მთვარევე, ხომ ხედვებ, არსად არ მოსჩანს
განგმირულთ ძეგლი, წმინდა სამარე,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს, ბოლო არ
უჩანს...

წამიყვია, მთვარევე, დამასამარე!

პარიზი.

ნარ-კანი.



ნატარბ ტალღები დიდ ზვირთებში.

ზღვა ღელავს, ტალღა ტალღას ეკეცვის,
ეროი მეორეს გულს ჩაზხვევია,
ზვირთი ზვირთს მისდევს, ზვირთი ზვირთს ებრძვის,
გემს მოღუნებულს გზა არეგია!
ცხევა ანძა, დაჰკარგა ღუზა,
ამაოთ ეძებს ის ნათ-საუფელს,
ამაოთ ებრძვის ძრიელ გრიგალსა,
ზვირთი მი.ნგრევს მის ბებერ კედლებს.

ღიან, ასეა, ზვირთი თავისას გაიტანს, ის ქარს
გაატანს მოძველებულ გემის ნაფოტებს, მაგრამ ამ გო-
ლიათ ზვირთთა ბორგავში ჩვენს ყურს ხშირად საწვდება
ხოლმე საზინელი ამონაკენისი პატარა ტალღებისა. ვინ
ამბობს იმას, რო ჩვენ უპირველესთა არ გვანტერესებ-
დეს უფრო მქუხარე ხმა ზვირთებისა მოზერებულ გემის
კედლებზე, მაგრამ ნურც ის დავაფიქვებდეს, რომ დიდი
ამონაკენისი პაწია ცრემლის უმღევია, რო გოლიათი
ზვირთი პატარა ტალღების შერაერთია. და აი მეც მკით-
ხველის ყურადღება ცხოვრების ამ პაწია ტალღებს მიმდა
მივაქციო.

* *

მაშ დაიწყეთ დიდი ქურუმებიდან, რომელთაც ხელ-
ში უკავიათ თბილისის ხორცი და სული, და პაწია ადამია-

ნებიდამ, რომელნიც მათ თვისი გულკეთილობით უშვილ-
ნიათ. პირველთა სიგმირის აღსანიშნავათ გავისენოთ
აგრეთვე სოლოლაკის მთაც, რომელსაც ესენი დაეტა-
ნენ, რათა განსჯერტონ იგი და სოლოლაკის მდიდარს
დარბაზებს დაუხლოვონ უტურფის ბაღი; რასაკვირვე-
ლია, ამბობდა მთის შერკავბა ისე არ მოხდებოდა, რო არ
შეინძრეს ქალაქის კასა და მასთან ერთად მოქალაქეთა
ჯიბეც, მაგრამ სამაგიეროთ ბოტანიკური ბაღის სურნე-
ლება დაატკობს სოლოლაკის ფუფუნების შვილთ. ტა-
ში და ვაშა მათს განსჯერტელობას! ვისგანაც ჯერ არ
მიიღებენ კიდევ ამას, მაგრამ მოვისმინოთ დიდი გვაგე-
ზის კი არა, არამედ პაწია ადამიანების მთლდამი მიმარ-
თული ტაში და ვაშაც: ამ სოლოლაკის მთის იქილამ,
რომელსაც დასტავებთან ქალაქის მამები, იქ სადაც ამ
ორმოცი წლის წინეთ გაისმოდა გრ. ორბელიანის ჩანგი:
„თვალს ახახელ, ზედ წამწამზე მიზიხარო“ დღეს ქარხნების
საყვირნი გვახმარებენ, ქმინავენ მანქანები და მათს
ხმაში ვილაც ეშმაკურათ ლილინებს: „მე ვევიფობ, შენ
ფეხებზე მკიდობარო“. აი რასა სწერენ ეს ქარხნის ორ-
თქლში გამობარშულნი, და მოიღინე და მეც აბუწათ
აგდებულნი პაწია შვილები თვის მამებს: „ღარწმუნებით
შეგვიძლიან ესთქვათ, რო ქალაქის გამგეობა ზოგისთვის
დღეაა, ზოგისთვის დღეის ნაცვილი. ყველაფერი, რაც
მის მიერ კეთდება, კეთდება იმ ანგარიშით, რო მასარ-
გებლო იყოს სოლოლაკისთვის და ვერისათვის... ჩვენ
ვართ ყურმოკრული მოხარკენი ქალაქის ავენტებისა,
ვინაიღან ორჯელ მეტს გავსდევინებენ, ვიღრე ეკუთფ-
ნის ჩვენს ავლა-დაღებას და ამავე დროს ორთაქალის
ქარხნის რიონის მცხოვრებთ არა გვაქს არც წყლის მი-
ლი, არც მოკირწყლული ქუჩა, არც ქანქანა სიბინძურის
ჩასაშვებათ, არც განათება“.

ღიან, ამანირო განცხადება წარუდგინეს თბ. გამგე-
ობას ორთაქალღებში, მაგრამ ამაოთ. ისინი უფრო
მაღე დაეკავებთან იაღბუზს, ვიღრე მათ თხოვნას შეა-
სრულებინ.

სოლოლაკო ზედ წამწამზე მიზიხარ,
ორთაქალზე, შენ ფეხებზე მკიდობარ!
აი მითი პასუხი და ესაა მოთვან მოსალოდნელი. ასეც
იქნება, ვიღრე გერი არ გაიზრდება და დედინაცვალს
თვალში ნაცარს არ შეაყრის.

* *

სწორე მოგახსენოთ ეს ვერაფერი ნუგეშია ორთა-
ქალღებებისთვის, მაგრამ რას იზამ. ტუყლი იმედს მწარე
სინამდვილე სჯობია. იანვრის სიცივეში რომ თვალები
დახუკო და გაზაფხული მოიგონო, ამით მინაც ვერ გათ-
ხები. ან რისთვის უნდა გავიკვირდეს დედინაცვლები-
საგან თავში ცემა, როდესაც თვით ჩვენ ვუბარტყუნებთ
ერთმანეთს, როდესაც თვით ჩვენ ვცხობთ თვით ჩვენს
საქმეს. „სად. ბალაჯარის რკინის გზის მუშებს—სწერენ
ვაზ. ნაპერწყალს“, —ქონდათ პროფესიონალურა კავ-
შირი. ასე თუ ისე საქმე მინაც კარგათ მიდიოდა, მარა
კოტა ხნის შემდგომ ზოგიერთი ამხანაგების გულგრილო-

ბამ კავშირი თანდათან დაასუსტა დაბოლოს კიდევ გააქროვა“. მერე რა მოჰყვა ამას? ის რაც უნდოდა კავშირის მტერს. საუკეთესო მუშებრს დათოვნა, ფასის დაკლება, სამის ადგილზე ერთი მუშის მუშაობა, დაკარგვა ყველა იმ უფლებების, რომელიც ქაბრ-ცესხლთ მოიპოვეს. „გულშეკრობაში“ დამალა კავშირი და თვისი თავი თვითონ დაამარცხა.

წავიკითხოთ მერევე წერილი, რომელსაც ამავე ვაზ. სწერენ რკინის გზის მთავარ სახელწოდან:

„დამინისტრაციიდან თითქმის ყოველ უფლებას მოკლებულნი შევირდებო „მუხრუტეს“ განიცლდან ამხანაგებიდანაც. რადესაც ესა თუ ის შევირდი თავგები შევირდობას, მას აძლევენ ვერტო წოდებულ „პრობს“; თუ ის ღირსეულთა შესესულა, დამინისტრაციიდან ნება აქვთ ბოძე ული 1 მან. 20 კ. დაუნიშნან ამხანაგებმა ეს უფლება ოქტომბრის შემდეგ აქვთ მოპოვებული მუშებს). მარა საუბრელოდ ამ უფლებით ვერ სარგებლობენ. მთელ სახელწოდან არ მიმხდარა მაგალითი, რომ ვისმესთვის 1 მ. 20 კ. დაწინწოთ. ნუ თუ ვერაინ ვერ ბაკეთა „პრობის“ ღირსეულთ? ზოგიერთ ნაწილებში ერთი არა სასურველი ჩვეულებაა: მაგ. როცა შევირდი ათავებს შევირდობას, მას ზოგიერთ ბროგადში მომუშავე მოვალეთ რაცეს, რომ ამხანაგები დაპატივოს და „ქნოკა“ გამართოს, თუ სურს კარგი ჯამბაირი დაუნიშნონ, მარა არც ამ „ქნოკაში“ მოსყიდულნი მინახავს, რომ დიდი ჯამბაირი დაუნიშნოთ შევირდისთვის. აკორდმა ისე გაიტაცა ჩვენი ზომიერთი მუშები, რომ ღამის ყოველივე უფლებები გაუშვან ხელოდან როგორც ახლად გათავებულ შევირდების 1 მ. 20 კ. დაწინწნა და ყველაფერი დაივიწყან.

„გატვთვე როცა უფროსი იღებს ამა თუ იმ ჩილინგარს, მისი ჯამბაირის დაწინწნაც მუშების უფლებაა. ნება აქვთ 1 მ. 50 კ.-მდე დაუნიშნონ, მარა არც ეს სდებია. ამის წინათ მიღებული კაცები ჯერ ორი-სამი თვე აწვალეს. ადგილი არ მისცეს და მერე თუმცა შედელით, მარა 1. 50 კ. არავისთვის არ დაუნიშნავთ. რას ნიშნავს ყველა ეს? აი სხდამდი მოგვიყვანა ჩვენ აკორდმა, როცა ჩვენ ვთვალავთ ფუქქემ ჩვენს უფლებებს რალა გასაკვირალია ნების შემდეგ დამინისტრაციამაც ზედ მეტი მივიყვანა“

მოკლეთ რომ ესთქვათ არა ნაკლები მამინაცვალნი ყოფილან ძველი მუშები შევირდების შესახებ და მასთანვე ოთითაინთ ქორებიც, რომელნიც გარეშევე თვალსა ხუტვენ და შინაურს უნისკარტებენ.

* * *

მარამ არიან სხვა გჯიშის ქორებიც, რომელნიც კარგათ არჩვენ თვისსა და სხვისსა, რომელნიც მსხვერპლს თავისივე ბურტყლით უზნელებენ თვალებს. ამისთანა ქორის კლანტებშია დღეს სხვათა შორის მთელი ქართლი. ამ ქვათ გორის მახრის სოფლებში 19 მამასახლისია მთავრობიდან დაყენებული. მათ განკარგულებაშია 81 „სტრაფიკი“. თვის შრომისათვის ისინი იღებენ წელიწადში საერთოთ 32,612 მანეთს. სოფლის მწერტლები 9,720 მ. სოფლის გზირები 12,960 მ. სოფლის საშროთელოს „სტორაოები“, შინობის გათბობა, სანთელი, და სხვა ხარჯი 6,480 მან. სულ ერთათ ქართლს „შევილობიანობის დამცველი“ უჯდება წელიწადში 61,772 მან. მეკრმეტყველება ამ ციფრებისა არა საქოროებს განმარტებას. ხოლო ეს ციფერი უფრო მეტს გვე-

ტყვის თუ იგი გავანაწილეთ ქართლის დამშეულ გლეხის ზურგზე მამასახლის-სტრაფიკების მთარახებით; სოფელ გომში ადგილობრივ მოპრიგებელ შუამავალთან ურბით მიიჯნეს მამასახლისის მიერ ნაცემი გლეხი. მისზეთ ცემისა ისა ყოფილა, რომ გლეხს არ მოუწოთვევია მამასახლის-სტრაფიკების ცხენებისთვის საკვები. მოპრიგებელ-შუამავალმა შეადგინა პროტოკოლი და გლეხი გაგზანა მახრის უფროსთან. ადგილი ვასავებია, რა სასჯელი მიიღო მამასახლისმა, ვინაიდან მანვე იმავე მოპრიგებელ-შუამავალის წინ რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გაამათარახა რამდენიმე გლეხი. ეს შემთხვევაც ენოსა მახრის უფროსს, მაგრამ რა ჯილოზე წარადგინეს გულადი მამასახლისი ჯერ არ იციან, ხოლო მისი მთარახი კი კვლავ თავისუფლათ სეირნობს გლეხებზე. ამგვარათ 19 მამასახლისის და 81 სტრაფიკის მთარახი ქართლს შეასყიდეს მის „შევილობიანობის“ დასაცველათ წელიწადში 61,772 მანეთით.

* * *

და თუმცა ასე ძვირათ უჯდება თვისი დამცველინი მას ვინც ნადირი შეპპარვია. უკეთ რომ ესთქვათ შევირდინა და მერე ისეთი, რომ სხვა მისნი მოძენი მასთან შედარებით კრავებათ გეყენება. უტყუარ საბუთებიდან ვიცით, რომ ამ წლის თებერვლიდამ აქამოდვე, რაც ტყე შეიფოთალა თავად გორგო ოთარისძე ამილახვარს დღისით-მშისით ყველას თვალწინ წარტუტაცნია:

სოფ. ვაშლოვიანიდამ ცხვარი — — 7.	ლორი — — 1.
„ ფული — — 1 მ.	სოფ. ვარუბანიდამ: ხარი — — 2.
„ ძროხა — — 2.	„ ცხვარი — — 4.
სოფ. ბეყენტიდამ: თხა — — 5.	„ თიკანი — — 2.
„ ცხვარი — — 14.	„ ფული — — 5 მ.

სოფ. წუბენიდა მთავის მოურავ ოისებ ყანაყველისთვის მოუტაციენია:

ძროხა — — — 1.
დეკეული — — — 1.
ცხვარი — — — 9.

ადგილობრივ ყელი გამოუქრია 3-სთვის, ხოლო არა სჩანს ძროხისთვის თუ ვისთვის. ფულათ წაულია 9 თუმანი.

სოფ. არმაზი დაუხარკავს კომლი 36 თუმანი. ჯამი რომ შევაცენოთ ნადირს ქართლიდამ ორი თვის განმავლობაში წაულია 72 სული საქონელი და 161 მან. ფული. ხანწი შესული გლეხები ამბობენ, რომ ჩვენს სიცოცხლეში არ გვასხომს, რომ ამ ნიარი ფოცხვერი შემოსჭროდეს სოფელსო. მის ამალის მიერ გლეხების ცემა-ტყეპას; ქალების გაუპატიურებას და სხვა ათასგვარ საზოზრობასთან შედარებით ფერი ეკარგება ჩემიერი მოყვანილ დღუბულ საქონლის რიცხვს.

ჩანხახი.

(ი. ხეობაი)

სახელმწიფო დუმა.

27 და 29 მაისის სესიოებზე დუმამ განიხილა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

მომხსენებელმა გუჩკოვმა (ოქტომბრისტი) საგნის არსებითი მხარის გამოკვების შემდეგ მან სხვათა შორის სთქვა: „ჩვენი სამხედრო დიდების დაღუპვა ჯარის სრულიათაჲ არ დაბრალდება; ამ უბედურების მიზეზი პირველათ, თვით ჩვენი ცენტრალური მთავრობაა, მეორეთ სხვა და სხვა გარემოებანი; ჩვენ ჯარს და მთ ხელმძღვანელთ ორნარიი ომი ჰქონდათ გამართული: ერთი მხრივ ისინი ებრძოდნენ იაპონელთ, მეორე მხრივ კი ჰეტერობურგის სამხედრო სამინისტროს კანცელარიებესო. მეორე შეცდომა, ორატორის აზრით, ჩვენი ცენტრალური მთავრობისა – ეს პორტსმუტში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებაა. თვით ჯარსაც დიდი ნაკლი აღმოაჩნდა: მის არ ჰყავდა გამოცდილი სარდლები და ჯარის მაღალ წრეებში გამეფებული იყო ნათლიმამობა, ძმბიკობა, დამქაშობა და სასახლესთან ჩურჩული, რაც დღემდის არ შეწყვეტილა.

რაკი სახელმწიფო წყობილება დღეს გამოიცვალა, გუჩკოვის აზრით, სიკიროა სამხედრო უწყებაჲ ამის თა ნახმათ მოეწყოს და ჯარში სამინისტრომ რეფორმა მოახდინოს (ტაშის ცემა და ვაშის ძახილი); მართალია სამინისტრო უკვე შეუდგა რეფორმის, მარა დღემდის მის გაბედული ნაბიჯი არ გადღვდაჲს. ჯარს კი დღეს ბევრი რამ სიკირია: საკიროა აფიცრებს ჯამგავთი მოემატოს, საკიროა ჯარის შენახვის და ხარჯების წეს-რიგი შეიცვალოს, კაზარმების ცხოვრება მოწყესრიდგეს, საკიროა მოხდეს არტილერიის რეორგანიზაცია და სხვა და სხვა ასეთები, რისთვისაც ერთდროულათ უნდა ვაიდლოს 215 მლიონი მანათი და ყოველ წელს კი 150 მლ.

ასეთი რეფორმის განხორციელება კი ძალიან ძნელდება ფულის სიმციროს გარდა იმ გარემოებითაც, რომ დღეს ჯარს სათავეში უდგანან დიდი მთავრები და ისინი თავის მდგომარეობით არა ბასუხის მეტებლნი, აწარმოებენ მეტათ სპასუხისმგებლო საქმეებს. საკიროა და უფლებაც გვაქვს მოითხოვათ ამ გარემოების თავიდან აშორება, რომ ნიეთერთათც ვაღოიერდეს სამხედრო ბიუჯეტი და ჯარშიაც ბოლო მოეღოს იმ დემორალიზაციას, რასაც დღემდი ადგილი ჰქონდა ჩვენს სახელმწიფოში. (ყველა სკამებზე, გარდა უკიდ. მემარჯვენ, ტაშის ცემა).

გუჩკოვს უპასუხა სამხედრო მინისტრმა, რომელმაც აღიარა, რომ მომხსენებლის კრიტიკა, საწმუხართ, მართლაც სამართლიანიაო. რაც ჯარს დღეს ჰქრდება ეს სამინისტრომ ძალიან კარგათ უწყის, მარა ის საშუალებას მოკლებულია; მომეცით საქამო ფული და სიამოვნებით შეუძსრულდეს ჯარს ყოველივე დანაკლისსო, განაცხადა მინისტრმა. ჯარის ყოველ გვარ საკიროებისათვის დღეს მინისტრის აზრითაც 2 მილიარდია სიკირო, მარა რადგან რუსეთს ამდენი ფული არ მოეპოვება,

ამიტომ ესლო დაქმავიფილებულ უნდა იქნას ჯარის მხოლოთ აუცილებელი და მწვავე მოთხოვნილებანი, რისთვისაც საკირო იქნება 300 მილიონი მანეთის გადღება მინც. ჯერ დაეკმავიფილებთ ამ მოთხოვნილებებს და მერე შეუდგებით ჯარის რეორგანიზაციას, რაც მართალია აუცილებელ საკიროებას წარმოადგენს, მარა უნდა აღივაროთ, რომ დღეს შეცვლა ყოველივე იმისი, რაც არსებობს ძალიან სახიფათოა. მხოლოთ მტკიცე თანდათან მოქმედებით შეიძლება, დაასრულა თივისი სიტუვა მინისტრმა, სახელმწიფო დაცვის საქმე დაადგეს საიფლო და შეურყვეველ ვაზს. (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრშიაც).

მინისტრის შემდეგ სხვათაშორის ილიაპარკეს ტრულოვიცებმა და სოც. დემოკ. წარმომადგენლებმაც.

ლიანნიკომ (ტრულ.) განაცხადა, რომ ტრულოვიცების აზრით, სასურველია ჯარს არ ევგოლოდეს პოლიციური სამსახური, არამც ის მუდმივათ უნდა ემზადებოდეს სახელმწიფოს გარეშე მტერთაგან დასაცველოთო.

სოც. დემოკრ. წარმომადგენელმა ბელოუსებმა სთქვა, რომ ქვეყანა ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს გაუმადარ მილიტარიზმის მოთხოვნილებათა დასკმავიფილებლათ. სამხედრო ხარჯები ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე ბურჟუაზიული სახელმწიფო არსებობს, სამეგლივარე „ზარი“ ქვეყნის პრგრესისათვის. მუდმივ ჯარი მხოლოთ ბურჟუაზიას ჰქრდება დღევანდელ სახელმწიფოში; სოც. დემოკრატია საკიროთ ცნობს მოისპოს მუდმივი ჯარი და მის ნაცვლათ დაარსდეს სახალხო მილიცია. ამიტომ ს. დ. სულ ერთიანად უარჰყოფს სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. კამათი შეწყდა. დუმამ დაამტკიცა უკვლელოთ სამხედრო სამინისტროს მთელი ხარჯთ-აღრიცხვა. ამავე სხდომაზე მიიღო დუმამ კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო კანონპროექტი.

30 მაისის სესიოებზე დუმა თოთხმეტი სხვა და სხვა წვრილმანი და უმნიშვნელო კანონპროექტის მიღების შემდეგ შეუდგა ისევ კამათს ერთ მეტათ საყურადღებო კანონპროექტის შესახებ, რომელიც წინა კრებაზე წარმოადგინა 39 წევრმა, „დუმის გლეხთა ჯგუფმა“. ამ კანონპროექტით უნდა შეიცვალოს არსებულ კანონმდებლობის ის სტატები, რომლებიც შეგებთა გლეხთა საეროზო გადასახადებს და ნატურალურ ბეგარას; კანონპროექტის აზრით საკიროა აგრეთვე გლეხთა უფლებბრით გათანაფორება სხვა წოდებებთან.

ამ კითხვაზე ჩაუწერა 54 ორატორი. ილიაპარკეს შინაგან და ფინანსთა მინისტრების ამხანაგებმა; მათი აზრით ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია ასეთი ცვლილების შეტანა კანონმდებლობაში; შემდეგ სესიისთვის მთავრობას მინც განზახული აქვს ამ გვარი კანონპროექტები წარმოუდგინოს დუმას და გადაწყვეტილია ცხოვრებაშიაც გაატაროს.

თითქმის მთელი დუმა, გარდა ზოგ მემარჯვენე ორატორებისა, ერთხმათ მიითხოვს, რომ ეს კანონპროექტი

ქტი დაუყოვნებლივ გადაეცეს შესამუშავებლათ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შედგება 44 კაცისაგან.

ოქტომბრისტიების სახელით **შიდლოესკი** აცხადებს, რომ ფრაქციას არ სურს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ კანონპროექტს და თუ მაინც და მაინც დღესასწაულებს ამ საქმისთვის განსაკუთრებული კომისიის არჩევა, დღე აირჩიოს, მარა ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ ეს კომისია მხოლოდ სახელისთვის დარჩება და არა საქმისთვის, ვინაიდან მას დღემის მომავალ სესიამდე შემოაბა არ შეეძლება.

ს. დ. ფრაქციის ორატორმა, **ბელოუსკვმა** კი სხვათა შორის თქვა: „იცი რა სოფლის დღევანდელი საშინელი მდგომარეობა, სოციალდემოკრატი მისხლმეზა მესამე დღემის „გლეხთა ჯგუფის“ ხმას, რომლითაც ეს მოითხოვს ბატონყმურ ბორკილებიდან რუსეთის გლეხკაცობის დახსნას.“ ფრაქციის აზრით; აუცილებლათ საქირა დაუყოვნებლივ არჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ამ მართლაც და მეტათ საყურადღებო საკითხს.

კომისიის არჩევას მხარი მისცა დღემის ყველა ფრაქციამ; წინააღმდეგი ილაპარაკეს მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლებმა და ორიოდ მემარჯვენე ორატორმა. მემარჯვენე ფრაქციათა დელუტატები მხარს უჭერდნენ კანონპროექტს და იმავე დროს ერთი მხრივ თანხმობას უცხადებდნენ მთავრობის წარმომადგენლებს, მეორე მხრივ სასტიკათ კიცხავდნენ კადეტთა ორატორებს (შინგარეცს, როდინეცს), რომლებიც დიდი რიხით უცხადებდნენ თანაგრძობას გლეხთა გათანაწილების იდეას.

კამათი დასრულდა, მარა, რადგანაც ვკორუმი არ დარჩა, ხმის მიცემა გადაიღო შემდეგი კომისიისთვის.

4 ივნისის სხდომაზე დღემის ყველა ფრაქციის კამათი ჰქონდა ერთი საყურადღებო კანონპროექტის გამო, რომელიც შეეხება ქ. მოსკოვში გენერალ შანიავსკის სახელზე სახალხო უნივერსიტეტის დაარსებას.

ეს კანონპროექტი კარგა ხნის შემდეგ დასრულებულ იქნა კომისიაში სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სამეგარი ცვლილებებით, რაც საგრძობლათ ასუსტებს და ასხვეფრებს წინანდელ კანონპროექტის შინაარსს. სამინისტროს ეცხადებოდა კანონპროექტით აკადემიური თავისუფლება, რაც სახალხო უნივერსიტეტში უნდა დამყარებულიყო, სრულით უარყოფილია. მიუხედავად ამისა ამ კანონპროექტის მიღებას დასთანხმდა, როგორც დღემის კომისია, ისე შემომწირველის წარმომადგენელი, ვინაიდან ამას მოითხოვდა მათი აზრით ქ. მოსკოვის და ხალხის ინტერესები.

მომხსენებელს პასუხი მისცა **სახალხო განათლების მინისტრმა**, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცა და ცვლილებები არ შეეძინა ისეთი საქმის კანონპროექტში, როგორსაც წარმოადგენს შანიავსკის უნივერსიტეტი და რომლის მსგავსი დაწესებულება არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც არ მოიპოვება. ცვლილებების შეტანა აუცილებელი იყო, ვი-

ნაიდან როგორც უნდა იფიქროთ სახალხო განათლების სამინისტროს დანაშაულებზე, ის მაინც ვალდებულია დაიკოს ყოველგვარ განმანათლებელ დაწესებულებაში სახელმწიფოს ინტერესები; საქირა ასეთი დაწესებულების მოქმედება ისეთ ფორმაში იხატებოდეს, რაც სახელმწიფოსთვის მავნებელი არ იქნება; დაწესებულების სხვა გვარი დანიშნულია და შედეგები მას სულაც არ აინტერესებს.

მინისტრის ასეთ განცხადებაზე კადეტების ფრაქციამ ერთხმით აღიარა, რომ დღემა სამინისტროს მიერ კუთხეშია მიმწყვედვული და მას ეუბნებიან: „მოიტა ან ფული, ან სიცოცხლე და რადგანაც დაწესებულება ძალიან სატრფილოა და საყურადღებო, ამიტომ იძულებულია— დათმოს ფული“, თუმცა ის კანონპროექტი, რომლის თანახმით უნდა დაარსდეს ეს დაწესებულება არა თუ უვარგისია, არამედ ძირითადად ეწინააღმდეგება შემომწირველის ნება-განზრახვას. „უვიგობას აღმოაფრეხა, განაცხადა დღე მაკოლაკომა, ერთნაირად დაინტერესებულია, როგორც მთავრობა, ასე სასოგადოება; სასოგადოებამ მოგგეს ამ საქმისთვის, რაც შეეძლო, მთავრობა კი მხოლოდ მის ჩაშლას შეეცადა!“

მემარჯვენეთა მხრიდან უნივერსიტეტის წინააღმდეგ ამხედრდენ და მთავრობის დამცველთა გამოვიდნენ: დეპუტატი **შენიშკევი** და **ტაშკაინი**. პურიშკევიის აზრით სულაც არაა საქირა დღეს ასეთი უნივერსიტეტი, ვინაიდან ის რევოლიუციონერებს ზრდის და ამით დიდ ზარალს გვაყენებს, თუ რევოლიუცია დღემდე რუსეთში ვერ იმარჯვებს, ამის მიზეზი ისაა, რომ სახალხო შკოლა ჯერ კიდევ არ გადასულა მათ ხელში, 17 ოქტომბრის შემდეგ კი ამას ძალიან ცდილობენ რევოლიუციონერები და თუ ჩვენ მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები არ მივიღებ, რევოლიუცია 5-9 წლის შემდეგ თუ არა 20—21 წლის შემდეგ მაინც ისევ განმეორდება.

ტაშკაინი კი წინააღმდეგ იძლევა, შანიავსკის ფული სახალხო უნივერსიტეტის ნაცვლათ გადაეცეს ქალთა სამედცინო ინსტიტუტს.

შურნალ-გაზეთთბიძან.

გაზ. „Голосъ Кавказа“-ში (№ 601) დაეჭვადია: „მოვალაშურობით მოკლულ იქნა უშუფო არქივისკოპოსი. ან იქნება ესეც კოლის წამება ჩვენი მხრით? ესა თქვენ ერთის მხრით დაიწინებთ აღმართებლბით ბოროტ-მოქმედებებს **სახინდრობაზე** და მეორე მხრივ, დაიწყებთ ნებუშის ცემას იმით, რომ მკვლელები დაჭერილი არიან და მართლმსაჯულების ხელში გადაეცემუნა. მაგრამ ბოლოს მაინც შეისმინეთ, რომ პირველი ფუტი სიტყვებია და მეორე კი აღმშუფოთებელი უაზრობაა, ამის გამება სრულებითაც ძნელი არ იქნება იმისთვის, ვინც მოიგონებს თუ რა პირობებში მოზრძანდა თფილისის ზოკუული მაღალ-ყოვალად უსამღვდლოესი ნიკონი. მას ქვეშეგრძობა სამღვდლოებამ დემონსტრაციულით არ აღიზრს მისი ხარისხის შესაფერო შეხვედრა; შემდეგ მასვე გამოუცხადეს ბიოკოტი. ეს იყო ისე ცოტა ხნის წინათ, რომ ამის დაიწყება ძნელია **იმათთვისაც კი,**

ვისი მხსიერება არ აღემატება ქათმისას... ძნელი წარმოსადგენია, რომ დღევანდელი ექსარხოსი უხერხული (неудобный) ყოფილიყო „ტუზემცისა“-თვის, რომელმაც იგი მოკლეს“. (ტურსივი გოლს კაცეხისას).

გ.ბ. „ნახვერწყალში“ (№ 5) დაბეჭდილია: „განსაკუთრებით ყურადღებს იპყრობს ერთი არაჩვეულებრივი საზიზარო ამბავი. ეს არის ექსარხოსის მოკვლა... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ მოქმედებს უფუნურთა კერძო შურის-ძიება; ეს საქმეა ისეთი პირების, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ არც საზოგადოებასთან და არც რიმე პოლიტიკურ მიმართულებასთან. ეს საზოგადოების ნაძირადღობა... ექსარხოსის მკვლელობა სასამართლოს წინაშე წაყენება—ერთიანი ერთი საშუალება ამ ჩირქის სამუდამო მოწმუნდის და ადგილობრივ ერთა პირნაობით გამოსვლის (ტურსივი ჩვენი). და რამ მკვლელს შესწევდეს ცოტადენი მაინც მამაცობა, ის რომ ლხარო არ იყოს—ის თვითონ გამოცხადდება და იტყვის რამ აიძულა ის ამ საქმის ჩადენა.“

... კი მკვამ, აქ რა შუაშია ადგილობრივი ერები?!. ბრძენო ევლბო აგეხსენი!.. ამას ასე სწერს მსოფლიო „გოლს კაცეხსა“. მკვამ არა, ამას „გოლ. კაცეხსა“-ც არა სწერს. როცა ვაკ...-ემ შეუძახა ამ ცახეს: „ეს შეიძლება შეურაცყოფა მოაყენოთ მოელ ხელს, მარტო იმისთვის, რომ ექსარხოსის მოკვლის ექვე აქვთ „ვიღაც ორ ტუხუტეხსე“, „გოლ. კაცეხსამ“ უმსუხსე:

„რისაკვირველია, არავის აზრით არ მოუვა საქართველოს ექსარხოსის მოკვლა ბრალთ დასდომთელ ქართველ ნაცის, მაგრამ, დაბეჭდვით, რომ განსაზღვრული ნაწილი „პატივისა“ მაინც ედება მოელ ნაცის...“ (№ 605)

... ტურორისტულ აქტს „ნახვერწყალ“თან ერთად ჩვენც სსსრკ-ის ვგომბო. როგორც საშუალება ზღადავს ინდივიდუალურაა ეს თუ „მარტისაწული“ დალი მანეტელი თვით იმ საქმისთვის, რასაც თვით რეფლექტიონური მარტები ემსახურებიან. სოფო კერძო და მარტო ანგარაშემის გასწორებალით ნახშირი ძალადობა—და ისიც ნახშირი ქურდულია და მინაწით—რომ ყოფილია 'სახილარი და აღმსუთათებელი აგეხსენიანა ყველა იმისთვის, ვისაც სრულიად არ დაუკარგავს აღმინანის „მსჯავსება“ და „სტუბა“ ეს აშკარაა, ამისე ხომ დაზარალებ შეტია. ჩვენც და „ნახვერწყალ“-ც რომ დიდი ხნისა სსსრკ-ის ვგომბო ტურორის ეს ივის ყველამ, ვისაც კი აქვს „თვალნი ჰედვით და ყურნი სმენათ“. დახს, იც-ან ყველა იმით, ვისაც რისეუ გავება უნდათ; არ იციან მსოფლიო იმით, ვინც სხაბას ექებს ჩვენს წინააღმდეგ, სახაბს ექებს ხელის წინააღმდეგ და გამართლებას ცდილობს ათასგვარ რეპრესიუ-სიებისას. მშო რადათ ვიწოდება „ნახვერწყალს“ ის მარტები და ნათელი აზრი, რომ „უკურნებელია ერე არის, ვისაც არ უნდა გაგონება“...

ი ავისინანებისაგან გუნჯტკენი ისდა დაგონენია, რომ ვინუგეშობთ—თუ კი მოწინააღმდეგეს სიკეთე საწუგეშობა—რომ

კადები იხვთაევი ცახეთ „Рѣхв“-ში სმარტოდაანათა სწერს შემდეგ სტრეიქსებს:

„კაცეხისა აღუღებული ქებაა ნაციონალურ საკითხებისა, და უნდა ერთხელ და საბოლოო შესწავლით, რომ „ინოროლ-ცეხის“ (არა რუს ერების) მასერის გაზუტ ჩვენ დაგვიჩა მხლოთო ერთი ნახეგი—მათი („ინოროლცეხის“) სრული ამოწვევა. „ნოვო ერების“ ერთმა სულის ჩამდგმულმა, მენწიკოვმა—უნდა ეს სიმართლე მიუძღოთ მას—კიდევ იქონა მამბედალმა ეს დაელაპარაკნა. იგი უზრჩევს რუსის მთავრობას სომხების საკითხში მიჰბაძოს ოსმალეთს: „მარტო ოსმალეთმა ვასა სომხების „ბუნტს“ (ამბოხებას) პასუხი ისე, როგორც ამას ითხოვდა „ბუნტის“ ბუნება... სომხების ტურორის ოსმალეთის სულთანმა უპასუხა ოსმალური ტერორით და „ბუნტიც მალე ჩააქრო“. (მენწიკოვი)...ულრმესთ უნდა გეზრზობოდეს საკუთარი ნაცია, რომ მას ასეთი სწორ-უზღავარი რჩევა მისცეს. ჩვენის აზრით, უმთავრესი ბრალი „გორანცივის რეიგისა“) იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულად, საქმეზე მან (ნახესტკივა) არავითარი რეფორმები არ განაზოტავდა და ამიტომაც მან ვერ შეიძლო მთავრობის წარმომადგენლის გარშემო შემოეკრება უფრო საღი საზოგადოებრივი ძალები“.

აი, მიუდგომელი და გაბეული სიტყვები უწინადაისცისა.

სომქსთა კათოლიკოსის არჩევის შესახებ.

როგორც ჩვენი კვლის* მკითხველებმა იციან, ამ შემოდგომას, ოქტომბერში მოხდება სომეხთა კათოლიკოსის არჩევა. ყველა ევარქია იარჩევს თითო დებუტატს, რომელნიც თავს მოიყრიან ემიშიანში და იარჩევენ კათოლიკოსს. გარდა ხალხის მიერ არჩეულ დებუტატებისა, ყველა ევარქიის სასულიერო წოდებას, სამღვდლოებას უფლება აქვს გაგზავნოს ერთი დებუტატი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, ერთი ხმის უფლებით. ეს უფლება სამღვდლოებას ეძლევა „პოლოკენისა“ ძალით. გარდა რუსეთისა და კაცეხისის ევარქიებისა, ოსმალეთის—სომეხთა, სპარსეთის—სომეხთა, ამერიკის—სომეხთა ევარქიებისაც და სხვ და სხვა ადგილებს სომეხსაც აქვთ უფლება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. საქართველო ეცნობთ ესთქვათ, რომ კათოლიკოსი იარჩევა ხალხის მიერ ნაწილის მონაწილეობით, რადგანაც „პოლოკენისა“ ძლიერ ამოკლებს ხალხის უფლებას. საკათოლიკოსო კანდიდატებთ სახავენ რამდენიმე გამოჩენილ ვებისკოპოზებს:

1. კ. პოლისის (სტამბოლი) აღრინდელი პატრიარქი მატეთოის იზმირლიანს, რომელიც თავის პროგრესიულ აზრებისთვის გაგზავნილია იერუსალიმში.

ამ პატრიარქს სხვათა შორის დეწული მიუ'ღვის, რომ 94—95 წლებში ოსმალეთის სომეხთა ქლეტვა ძალიან არ გაორკეცდა. ერთის სიტყვით სახელოვანი პირია, და ამოარჩევის შესებთ ყველაზე მეტი აქვს.

ამის კანდიდატურას აყენებენ ყველა პროგრესიული ელემენტები.

*) მენწიკოვი სწერდა, რა ექსარხოსის მოკვლა გორანცივის რეიგის ბუნებრივი რეზულტატიაო.

2. ახლანდელი სტამბოლის პატრიარქი მალაქია ორმინანი, რომელიც განვითარებული და დიპლომატი პირია, მაგრამ მან თავის იესუიტურ და სულთანის წინაშე ლაქიურ ხასიათის გამო, ხალხის სიპაპატა ვერ მიიზიდა. ამის კანდიდატურას ემხრობიან ყველა ნაციონალისტური და კლერიკალური ელემენტები. აქ საკიროს ვსთქვათ, რომ სულთანს ნება მიუღია — ოსმალეთის სომხობამ მოწაწილეობა მიიღო ამ არჩევნებში, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ოსმალეთიდან მოსულმა დეპუტატებმა თავიანთი ხმა მისცენ ზემოხსენებულ პატრიარქს.

3. გარდაცვალებულ კათოლიკოსის მოადგილე არქი-ეპისკოპოსი სურენიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინად ქართლ-კახეთის და იმერეთის ეპარქიის უფროსად იყო. ამას ემხრობიან ყველა კონსერვატორები.

ამათ გარდა არიან კიდევ რამდენიმე პირები, რომელნიც დამსახურებულნი არ არიან.

„ბოლოყენის“ ძალით საკათოლიკოსო კანდიდატი უნდა იყოს მხოლოდ სასულიერო წოდებიდან, მაგრამ წელს გაზ. „მშაქა“-მა აღძრა ის კითხვა, რომ უმჯობესადაა საკიროსა არ მიიხიბოს, რომ სასულიერო წოდების გვეუფნოდეს საკათოლიკოსო და შეიძლება ამორჩეული იყოს პირდაპირ ხალხისაგან, რომელსაც შემდეგში მიეცემა მღვდლობა, ეპისკოპოსობა და მერმე კათალიკოსობა.

რა ვხას ადგანან პარტიები?

1) რა თქმა უნდა რომ ყველა კონსერვატიული, კლერიკალური და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელები განხილულ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, რადგანაც ისინი კათალიკოსს სცნობენ ერის თავათ, რომლის უფლებები უსახლდგრა. ამათ ეძახიან ნორდ-არაკენებს.

2) ცრუ ლიბერალები, ესე იგი „მშაქის“ მომხრენი თუმცა ლიბერალურ სარჩულს იკრავენ და იძახიან რომ კათალიკოსის უფლებებიან განსაზღვრულია, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვაა; ესენი თავიანთ აზროვნებით იმავე გვარის ნაციონალისტები არიან, და ემზავსებიან იმ ყვავს, რომელსაც ფარშევანგის მუშეული ასხია, რადგანაც მზურველი მონაწილეობას იღებენ საკათოლიკოსო არჩევნებში.

3) დაშაკაკანები თუმცა ოფიციალურათ მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში, მაგრამ ასე თუ ისე კათალიკოსის მომხრენი არიან, რადგანაც კათალიკოსს სცნობენ იმ პიროვნებათ, რომელმაც სომეხთა კითხვა უნდა აღძრას ევროპის დიდ სახელმწიფოების წინაშე.

ეს ცრუ-სოციალისტები ორ ბანაკათ არიან გაყოფილი; ერთი მათგანი ბოიკოტის მომხრეა. ესენი ს.რ. აზრს ადგანან.

4. შანჰაისკიტები, როგორც ს.დემოკრატიულათ მოაზრენი, ბოიკოტის მომხრენი არიან, რადგანაც ამ გვარი მონაწილეობის თიღება იმათი აზრით აბნელებს პროლეტარიატის თითო-ცნობიერებს.

5) სომეხი ს.-დ.-ბი შანჰაისკიტების აზრს ადგანან და ბოიკოტს უხსაღებენ.

ერთი სომეხი.

მასწავლებელი.

(მოთხრობა.)

I

დიღის ათი საათი იქნებოდა; მოკრიბებულ და ლურჯათ მოკამკამე ცის კამარაზე მზე კარგა მადლა ამკურბებულყო და თავის გამომოცოცხლებელ სხივებით თბილისსაც თვალწარმეტაც ნათელსა ჰვენდა.

გაზაფხულის პირი იყო; ბუნება ალათ დიდებოდა; ის თანდათანობით მწვანე ხავერდით იმოსებოდა და ნახ ყვაილებათ იფურჩქნებოდა. თბილი ჰაერი საამურ სურნელებით იქნებებოდა. ახლათ მოფრენილ ფრინველთ სიხარულით ჭრამული გაჰქონდათ და მწვანე ნორჩ ფოთლებით შემოსილ ხის ტოტებში გაზუწყვეტილი ფთხრიალბდენ.

გაზაფხულის წელი ნიაგი აქეთ-იქით ცვლქათ დაჰქროდა, დასინდნდა და აფერადებულ ყვაილებს რაღაც იღუმალათ ელამუნებოდა; ის ხან აქ უცბათ შერახედა ყვაილებს, ხან იქ აშორიალებდა ხის ფოთლებს და შემდეგ საღდაც მიიკარგებოდა. აღვართქაფეხული და ამღვრული მტკვარი ვერო კალაპოტს აქეთ-იქით აწყდებოდა და გამზავებული ღრიალებდა; კლდის ნაპრალებს, ხიდის ბურჯებს და მის ნაპირებზე ამართულ სახლების კედლებს ის ვალმასებული ეხეთქებოდა და აქაფებულ ზვირთებს ზვირთებზე მრისხანეთ მიერეკებოდა.

სიცოცხლით, სიმშენიერთ და სიკეკლუცით აღსაყე ბუნება მზიარულობდა და თავის მადლიან კალთაში გახვეულ ყველა ცოცხალ არსებათ თავის მომჯადობელის ზეგავლენით ხიზლავდა. თავის დიდებულის და მადლიანის კალთით უხვათ დაჯილდოვებულ და სანეტარო, მაგრამ უეუფლომართ ცხოვრების პირობებისაგან მოშმახულ აღდმინას არსებებსაც ის რაღაც სასიცოცხლო ნექტარს ჰპატებდა და ახარებდა. მდიდარი და ხელგაშლილი ბუნება მასაც ანდამატეით თავისკენ იზიდავდა და მის პატარა, მაგრამ ზღვაგულს ზე-შთანახბერი მადალი გრძნობებით ატკობდა და სასიამოვნოთ აღუღებდა.

ქალაქის განაპირათ, გორაკების ფერდობებზე შეფენილ ღარიბ უბნის ერთ პატარა სახლის აივანზე—საიდგანაც მთელი უზარმაზარი ქალაქი ხელის გულივით მოსჩანდა—ნიყო რთველიაშვილი სკამზე ჩამოჯდარაიყო და შორს ცის სივრცეში ნადვლიანთ გაიქტირებოდა.

მის დაღარულ, შემქმუნვნილ შუბლზე და მორბულულ, დამქუქარ სახეზე—რომელზედაც ყველაფრისად მი ზოხილ აღბუქდილიყო—ნათლად წაკითხავდით, რომ ცხოვრების უღომომელ პირობებს მისთვის ბევრი ნადველი დაუღვეინებინა და სიცოცხლე გაემწარებინა.

ჩხრისავით გამხმარ, წერილ და გრძელ ტანზე ძველ სერთუეი ცეცა, რომელიც მის მოხრილ მხრებზე უშნოთ ეკიდა; მის ჩავარდნილ გულ-პერსტის ოდესღაც გაკრახმბებული, დამქუქვირილი პერანგი ჰფარავდა, რომლის ფართე საყელოდან მამლაყინწასავით წინ წაგრძელებული მაჯის სისხო კისერი ამოღიდა და მანე



თითქოს ძალათ დაკონწიხებულ გამვალ-ტყავებულ თავს ძლივს იმაგრებდა. კისრის ყველა ძარღვების დათვლა სულ ადვილათ შეიძლებოდა. მის ლამი-ტრაპისავით მაღალ და წვრილ ფეხებზე ფართოთ ჩამოკიდებული, გახეხილი და ტრატებ-შემოკვეთილი შავი შარავლიც მწარე სიღარიბეზე მკვრემტყველურად დაღაღებდა. ნაჭრებით დაკონკილ მის ფეხსაკმელებიდან იგივე სიღარიბე გამოიკტირებოდა.

ფეხი-ფეხ „გადადებული და მუხლებზე ხელებ დაყრობრილი, ის ქანდაკებასავით უძრავით იჯდა. მისი შერ-მოდგომასავით პირ-მოქმედი სახე და შუბლის ძარღვების დრო-გამოშვებით მოძრაობა ამტკიცებდნენ, რომ მის თავში შავი და მწარე ფიქრები ერთი-მეორეს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მისდევდნენ.

—უსამართლო და უკუღმართია ცხოვრების ბრუნვა-ფიქრობდა ის-რომელიც დღე-მუდამ უწყალობათ სრუ-სავსე და სთვლავს, სწავლავს და შხაშავს აუარებელ ადამიანთა სიცოცხლეს; მისი საძირკველი, მისი ქვა-კუთხედი ადამიანების სისხლისა და ცრემლის ზღვით არის გაფენილი.

სინდელი მოკლულ, გულ-ქვა ცხოვრების მრავალ-საფეხურებიან და გრძელ კბეზე მონა-ადამიანები გამხეცებულები ერთი-მეორეს ებრძვიან; მისი უღმომავლი პირბები თვითმოდ მათგანს აიძულდნენ, რომ მან სხვებს ფეხ-ქვეშინადად გამოაძალოს, ძირს სიღატაკის უფსკრულში ჩაყაროს და მათი უბედურება თავის ბედნიერების საფეხურად გამოიყენოს. კიბის ყველა საფეხურებზედ მყოფნი მუდამ რყევასა და ნიშში არიან; ისინი მკვიდრ ნიადაგზე ვერ გრძნობენ თავს და კარგათ იციან, რომ ბრმა ცხოვრება დაუნდაბელია; ის დღეს მაღლა აგიყვანს იმისათვის, რომ ხვალ მოულოდნელად სარმა გამოგვკრას და თავდაყირა გადმოგისროლოს.

ადამიანები კმაყოფილნი არ არიან თავის მდგომარეობით; ისინი მუდამ მოუსვენრობაში არიან და ამაოდ ცდილობენ, რომ თავის მდგომარეობა განამტკიცონ და უზრუნველ ჰყონ. მათ თვითონაც არ იციან, ხვალინდელი დღე რას მოუტანს; ისინი ცხირ წინ ცხრავფერს ხედავენ და ბრმათ ემორჩილებიან ცხოვრების ტრაილს, რომელიც მათ თავის სურვილისამებრ ნაფოტებივით დააქანებს. ის ყველას იბრუნებს, ყველას თავისებურათ ათამაშებს და ამოძრავებს.

მაშვარლნი და წამებულნი, რომელთა ოფლიან მხრებზეა დაყრდნობილი ცხოვრების ეს უზარმაზარი და მძიმე კბე, დედ-წახრილი ძირს ჩაბლუიან და იმას ვერ ამჩნევენ, რომ ქვეყანას ისინი აწოვებენ ძუძუს. უსამართლობაზე დაყრდნობილ უკუღმართ კიბის დანგრევის ნაეცლით, ისინი შეუვებლად სქედანენ თავის ბორკილეს მით, რომ თვითონვე ამარტებენ მთიე უფედურების საძირკველს. დაბრუნებულნი ისინიც ცდილობენ ამ კბეზე მაღლა აცოცებას, სიმდიდრის მოხვეჭას და მით ვითომდა თავის თავის უზრუნველ-ყოფას; მათ იმედოც აქვთ, რომ ხვალ უთუოდ მიახწყვენ ამ მიზანს;

ლაქე და დღე ისინი მხოლოდ ამ იმედით სულდგმულობენ, მაგრამ ამათ მისდევენ ისინი ამ ტუბილ მოჩვენებას; ცხოვრების აჩრდილი აჩრდილათვე რჩება.

ცხოვრების დაბალი საფეხურები ყველაზე უფრო მოლოპული და უნდობია; სიმდიდრის მაძიებელთ მოულოდნელათ ფეხი უსსტეგბათ და ქვევით ყირამალა ცვივიან. მხოლოთ თითო-ოროლა ადამიანობა-გარტეხილი და პატროსნებით მოვაქტე სხვების ზურგზე მაღლა-მაღლა მოხერხებულათ მიცოცავს და ლამობს იქ ბედნიერებით დატკობას...

ადამიანები ერთი-მეორეს მეგობრულათ ხელს უწვლიან და შესცინიან, როდესაც ამას სარგებლიანობა მოითხოვს, ან კიდევ ერთი-მეორეს მხეცურათ უზღვევიან და შესაქმელად არ ინდობენ, როდესაც საქმე იმავე სარგებელზე და სარფაზე მივარდება.

ქვეყნის ამშენებელი და მასზრდოებელი, დღეს უფულო ცხოვრებისაგან ვარიყულიან და ვოჯოხეთურ გარემობაში ჩაცენილნი უმწეოთ და ყრუთ გმინავენ; ისინი ცხოვრების ზღვაში იხრჩობიან და მათ ხელს კი აზავინ უწვდის. ხორველასავით ყველანი გაურბიან და შორიანდ გულ გრილათ შესტკერიან მათ წამებას, იმიტომ რომ სიბრძნვის გამო არ მოცილიან ხვალ იმათი ბედის განაწილებას. უსაქმური და უშუშავარი ცხოვრების ზეა-მეტ ბარგად გადაქციულან და სიმშლით ცოლ-შვილიანათ ბუზებივით იყუყუვიან.

მაღლა საფეხურებზე კი ხარობენ და იცინიან, იმიტომ რომ დაბლა ტირიან და ტანჯვა-ვაებაში სულსა ლევენ; მაღლა სიტკობება, იმიტომ რომ დაბლა სიმწარება; მაღლა ფუფუნება და განცხრომა, იმიტომ რომ დაბლა სიღატაკე და სიმშლია...

აი თუნდაც ამ უზარმაზარ ქალაქში—რომელიც ასე დიდებულათ ვადამბულა—ვინ იცის რამდენი ცრემლი და ნალექლია დაგუბებული, ვინ იცის ჩუმათ რამდენი გმინავს თავის ქერ-ქვეშ ულუქვა-პურათ... მაღალი სართულებიდან კი პასუხათ გაისმის უღარდელი სიცილი-ხარხარა...

უშუშვართა არმისათნ ერთად ვიწრო, სულის შემხუთავ ეგნიაში გამოშწყვედულ ჩიტსავით მეც თავგანწირული ვეხეთქები და ამაოდ ვაწყდები ძუნწი ცხოვრებისაგან ვიწროთ ამართულ ზღუდევს; მის მოჯადოებულ რკანის ჩარჩობაში და ბასრ ბრქალებში მოქციული, მეც დამწარებელი მშხარლენ ამოვარდნილ თვეზივით ვფართახლავ, მაგრამ ამაოთ...

ყველასაგან დავიწყებული, მთლად ვარიყული, სულით და ხორკით ავათმყოფი და დამშეული ადამიანის აჩრდილს დავმსგავსე; ცოლ-შვილთან ერთად სიღატაკის ნელ ცეცხლზე ვიწვი და შეუჩერებლივ დალუბვის გზაზე მივექანები...

და მეჩერ რათ მხვდა მე ასეთი მწარე ხვედრი? რათ ჩავვარი ამ ვოჯოხეთურ მდგომარეობაში?..

იმისთვის, რომ ვაკადნიერდი და ადამიანური ცხოვრება მოვითხოვე; იმისთვის, რომ უსამართლობა აშ-

კართ ეამხილვე; იმასათვის, რომ რჩინის უღელში შებ-
მულ და ბორკილზე გაყრილ ხალხის სიყვარულით აფენ-
თე და წყევლით მოკული მისი ცხოვრების გზა-კვა-
ლი ლამპარით განათება მოვიწინანდე; იმისათ-
ვის, რომ, როგორც სოციალისტი, ხალხის ქეშმარიტი,
ნამდვილი მასწავლებელი ვიყავ...

აი იმისათვის უსამართლო ცხოვრების ბრმა დამ-
ცველებმა უღეთით მტანჯეს, მაწამეს, საპრობილეში
დამალავს, ფეხ-ქვეშ გამქელეს და დამაქლექეს; სიცოც-
ხლეს და ადამიანურ ცხოვრების მოწყურებულ ჯერ
ისევ ახალ-გაზდა კაცის ყველაფერი, ჩემი თავიცაი შე-
მახილეს, და მოშხამეს და დასევადებულ სამარის კარ-
ზე მიმიყვანეს...

მაგრამ, დღე ხალხს მსხვერპლთა შევეწვიო;
დღე მათი სიბნელის ვასაფრებთა მეც სანთელივით დაე-
დნენ; დღე ჩემმა გაწამებულმა ძვლებმაც განააზიერონ
ის ნიდაგი, რომელზედაც აუცილებლად აღმოცნდება
სანეტარი მომავალი. ჩემს დაკოილდ და დაწყულულე-
ბულ გულში კვლავ მაინც დღეის დიდებული და საკა-
ტობრიო იდეალი; ის იყო, რომ მთელ ჩემ ხან-მოკლე
სიცოცხლეში მგენიტივით მიზიდავდა და აღუღებულ
ცხოვრების სამშობარ ტალღებზე უშვრით დამაქანებდა.
ახლაც არ ვუღალატებ მის... და ჩემს აღიზაგებულ არ-
სებას ეკვდა მისი წმიდა ცეცხლი აფანთებ!

მღელვარებისგან ატაცებული, თვალზე-გაბრწყინ-
ვებული და მუშტებ-მოღერებულნი ნიკო ზეზე წამოიჭრა
და მტკიცე ნაბიჯით შელო ითახის კარები.

შეიღი თვის ბავშვი აკენაშა გახსებულა ტიროდა;
აკენთან მუხლებზე დატყული და თვალ-კრემლიანი
დღედა კი გამქანარ ბუბუბის მის პირში ძალთ უღებდა...
ამ სურათმა მის შესვლისათანავე გასურებულ ტვირ-
ში ჩაქუჩივით დაჰკრა და გულზე მწარეთ უქვინა.

— ოოხ, დაწყველილო, მუხთალო ცხოვრებეა!!...
კბილების ღრქენთა გულის სიღრმედაც ამოიგარვიწე
მან და მოწყვეტილი კუმეტკაზე დამწეა; ამ სიტყვებ-
თან ერთად მას პირიდან სისხლის ნაკადული ამოსკდა,
რომელიც ერთ ხანს შადრევანივით ამოჩუხუნებდა და
იატაკზე წითელ ტბორეთ გუბნდებოდა .

(შემდეგი აქება).

ს. პართენაშვილი.

წამილი რედაქციის მიმართ.

„ჩვენი კვლის“ მეორე ნომერში მოთავსებულა ნიკოფორე
მეგრელიშვილის წერილი, სადაც წილი, სადაც წილი, რათ არ ზადე-
ცით ფული სიმონოვს, რომელიც მე თქვენ ზამიზიმზანეთში. ვას-
რულებ ნიკოფორე მეგრელიშვილის სურვილს.

„სორაპნის“ ახანა. მიიღო სხვადასხვა დროს ნიკოფორე მე-
გრელიშვილისაგან 34 მანეთი, აქედან მას მეგრელიშვილს მართა
ჩვენი გურნალ. „სასხარის“ 9 მანეთი—ყურნალ მათეთილ ვაგზაზე-
ნა მას 29 მარტს. 10 მანეთი 85. კაპ. სულ 19 მ., 85. კაპ.

ეს ფული აიღო „სორაპნის“ ახ. დანარჩენი 14 მ., 15 კაპ.
ზადეციით „ეკლის“ რედაქციას (მისი მზარებთათ—14 მ. 40 კაპ.)
რაც შეადგენს სულ 34 მანეთს. ეგლა ჩვენ მეციხოვნეთი ნიკოფორე
მეგრელიშვილი, სიმონოვ-სათვის რაღა უნდა გააღმეცა? ეს ან-
გარიში გატნობთ თქვენ წერილითა 22 მანის. და გვიყვრის ან
თქვენ თაფს რათ აწუხებთ და აწ რედაქციას.

„სორაპნის“ ახ. ვამ. მ. გაჩეჩილაძე.

**ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და
სალიტერატურო გაზეთი**

ჩვენნი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ. — კ.
ნახევარ წლით — —	3 მ. — კ.
სამთვით — —	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთიწლით	7 მ. — კ.
ნახევარ წლით — —	4 მ. — კ.
სამი თვით — —	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველზან ორი შუარი

ხელისმოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია
„სორაპანი“ მადათოვის ქუჩისფილ ფოსტით ფუფი და წე-
რდელი უნდა გამოავზანეს ამ აღდესით:

თიფლისი книжный магазинъ „Соранани“ (Мадат.
остров) Рахиль Каландадзе

სეღმოწერელი წერილები არ დაბეჭდვას. დაუბეჭდაც მტერე
წერილებს და კორესპონდენტის რეაქცია დაიხსნს არ
ინახვას, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და
დიდი წერილები.

**მოლაპააკება რედაქციასთან შეიძლება ვოველ
დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუად-
ღევის 2 საათამდე.**

8 ივნისს, 1908 წ.

მუხთაილის ბაღში.

ქართველ ქალთა სასოგადოების ჭრბაკერვის
სკოლის სასწრებელთა გაიმართება,

დიდი სეირნობა

ლაბარია-ალმხარით.

ლატარიისთვის სხვათაშორის დანიშნულია სკოლის
მოწაფეების ხელსაქმები: პრეშუით ნაკერი მუთაქება;
პაღიშუბი, პრსასოტები, ცხვისსახოტები, საზაფხუ და ქალთა
ტანისმოსო, ქარგთა ნაკერი სჯველები, სუფურები, საღაფტ-
კები და სხვა...

გარდა ხელსაქმისა აგრეთვე დანიშნულია მოსაგებათ:
საკერავის მშინება, სმოფურები, უჯადნები, ვაზნები, პატარა,
სარკები, პატარა მავილები, პატარა საღიჩები და სხვა ნივ-
თები.

სიარობის დროს ბაღში დაშარასს

სამსჯდრო მუსიკა და სოხანდარი, აგრეთვე გაიმართ-
ება სხვა და სხვა გასართობები ბავშვებისთვის. პაღში შე-
სასვლელი ფასი—20 კ. მოწაფეებისათვის 10 კ. აღფე-
რის ბილით—20 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ანთ. გიორგობიანი.